ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი

უნივერსიტეტი

15
მარტი,
პარასკევი,
2016 წ., №3

აქციები, მოთხოვნები, პოზიციები

ერთად გავუფრთხილდეთ უნივერსიტეტის ღირსებას!

თსუ-ის პროფესორების მიმართვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: **ლევან ალექსიძე** - პროფესორი, აკადემიკოსი; **შოთა სამსონია** - პროფესორი, აკადემიკოსი; **მარიამ ლორთქიფანიძე** - პროფესორი, აკადემიკოსი; **ოთარ ჯაფარიძე** - პროფესორი, აკადემიკოსი; **როლანდ თოფჩიშვილი** - პროფესორი, თსუ ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი; **თამაზ გამყრელიძე** - პროფესორი, აკადემიკოსი; **ავთანდილ არაბული** - პროფესორი, თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი; **გუჩა კვარაცხელია** - პროფესორი, აკადემიკოსი; **გურამ ლორთქიფანიძე** - პროფესორი, აკადემიკოსი; **ავთანდილ სილაგაძე** - პროფესორი, აკადემიკოსი; **ვაჟა ლორთქიფანიძე** - პროფესორი; **ელგუჯა ხინთიბიძე** - პროფესორი, აკადემიკოსი; **რისმაგ გორდეზიანი** - პროფესორი, აკადემიკოსი; **აპოლონ სილაგაძე** - პროფესორი, აკადემიკოსი ავრცელებენ განცხადებას, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხარს უჭერს და მიესალმება ქვეყნის თვითმყოფადობის განმტკიცებასა და პროგრესულ განვითარებას. ერთი საუკუნის წინ უნივერსიტეტის დაარსების მთავარი იდეა და მიზანიც სწორედ ამ გზაზე მკვიდრი ნაბიჯებით სვლა იყო და, დარწმუნებული ვართ, მომავალშიც ასე იქნება. ჩვენ ვამაყობთ, რომ ახალგაზრდა თაობა განათლებასთან ერთად, უნივერსიტეტის კედლებში თავისუფალ აზროვნებას ითავისებს, რადგანაც ჩვენს უნივერსიტეტში იგრძნობა ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემა. ამიტომაც თსუ არაერთხელ დამდგარა დარტყმის ქვეშ სხვადასხვა მხრიდან. ხშირი იყო და არის მავანთა და მავანთა მხრიდან სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის ხელოვნური დაპირისპირების შექმნის მცდელობა. **საგანმანათლებლო სივრცისთვის მიუღებელი პროცესები განსაკუთრებით აქტიურდება საარჩევნო წელს, მაშინ, როდესაც ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ბოლო დროს გახშირდა თავდასხმები უნივერსიტეტსა და მის რექტორზე; არსებობენ ძალები, რომელთაც სურთ უნივერსიტეტის ჩართვა სხვადასხვა სახის დაპირისპირებაში. ჩვენ მხარდაჭერას ვუცხადებთ და გვერდში ვუდგავართ რექტორს, აკადემიკოს ლადო პაპავას იმ მიზნების და იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც უნივერსიტეტისა და ქვეყნის ინტერესებს ემსახურება.**

მოვუწოდებთ თსუ-ის ყველა სტუდენტს, სამეცნიერო საზოგადოებას, პროფესორს, თანამშრომელს, განსაკუთრებით, პოლიტიკოსებსა თუ სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომელთა უმრავლესობა სწორედ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია - თავი შეიკავონ ამა თუ იმ მიზნებისთვის უნივერსიტეტის, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გამოყენების მცდელობებისგან. გახსოვდეთ, რომ უნივერსიტეტში სწავლობენ თქვენი შვილები, შვილიშვილები, დები და ძმები. გავუფრთხილდეთ უნივერსიტეტს!“

საპროტესტო აქციის პირველი დღე

ნატო ოგოლაძე

„ყველა სტუდენტი თანასწორია, არა — სტუდენტური თვითმმართველობის პრივილეგიებს“ — ამ სლოგანით 7 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში სტუდენტური ჯგუფების წარმომადგენელმა სტუდენტებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილე სტუდენტები 2016 წლის ზამთარში თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრების ბაკურიანში გამართული ტრენინგისთვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 24 600 ლარის გამოყოფას აპროტესტებდნენ. მათი განცხადებით, თსუ-ის ბიუჯეტიდან გამოყოფილი აღნიშნული თანხა არამიზნობრივი ხარჯია, რისი ბაკურიანის ტრენინგში დახარჯვისთვისაც პასუხისმგებლობა ადმინისტრაციამ და რექტორმაც უნდა გაიზიარონ. სტუდენ-

ტები ითხოვდნენ სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციების შეზღუდვას და სტუდენტური პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხებზე მკაცრი კონტროლის მექანიზმების დანესებას, ასევე მკაცრ კონტროლს სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო პროცესებზეც, რათა მომავალში მაინც თვითმმართველობის კანდიდატებმა წინასაარჩევნო კამპანიისას თსუ-ის ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი არ გამოიყენონ. შეგახსენებთ, რომ ახალი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაზაფხულის მიწურულსაა დაგეგმილი.

საპროტესტო აქციაზე სტუდენტები სტვენითა და შეძახილებით აქცენტებს ახმოვანებდნენ აქციაზე გამოტანილი ტრანსფარანტებიდან, რომელიც ასეთი შინაარსის იყო: „არა თვითმმართველობას!“ „არა სტუდენტური თვითმმართველობის პრივილეგიებს!“ „შეუწყდეს დაფინანსება კომკავშირს!“ „თვითმმართველობა სტუდენტთა რესურსების პარაზიტია!“ „უნივერსიტეტი სტუდენტებს და ლექტორებს!“ „ყველა სტუდენტი თანასწორია!“ „არა უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფლანგვას!“ „ვითხოვთ რესურსების სწორ განაწილებას!“. მოგვიანებით საპროტესტო აქციაზე სტუდენტებმა ახალი მოთხოვნა გააჟღერეს — „არა მოძალადე კანცლერს! და სტუდენტური კამპანია გაჩაღდა კანცლერობის კანდიდატის გიორგი გაფრინდაშვილის წინააღმდეგ ერთი მოთხოვნით, მოეხსნა თავისი კანდიდატურა.

„წლების მანძილზე სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტების ტრენინგისთვის 19 000 ლარი იხარჯებოდა, წელს ეს თანხა 24 600 ლარამდე გაიზარდა. ჩვენი პროტესტის მთავარი საფუძველი ეს იყო. ასევე, ვაპროტესტებთ ადმინისტრაციის უმოქმედობას. უნივერსიტეტში უამრავი პრობლემაა და ამ რაოდენობის თანხის დახარჯვა ერთ სტუდენტურ ჯგუფზე არასწორად მიგვაჩნია. წელიწადნახევრის უკან ამის შესახებ რექტორს ვესაუბრეთ, მივიღეთ დაპირება, რომ ქმედით ნაბიჯებს გადადგამდა, თუმცა მხოლოდ უარესობა შეინიშნება. რექტორმა უნდა გვითხრას, შეუძლია თუ არა მძიმე გადაწყვეტილებების მიღება.

10 მარტს მნიშვნელოვანი პროცესია და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გიორგი გაფრინდაშვილი თსუ-ის კანცლერი არ გახდეს. ჩვენ არ ვართ ერთეულები, ეს პრობლემები ბევრ სტუდენტს აწუხებს“, — განაცხადა ჩვენთან საუბრისას იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტმა თორნიკე ართქმელაძემ.

„სტუდენტური თვითმმართველობა წლების განმავლობაში ბიუჯეტს არარაციონალურად ხარჯავს. აქციაზე მოსული ხალხის რაოდენობა ცხადყოფს, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას არ აქვს ლეგიტიმაცია, ისინი არ იცავენ სტუდენტების უფლებებსა და ინტერესებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 24 600 ლარის დახარჯვა ტრენინგისთვის სრულიად დაუშვებელია. პასუხისმგებლობა უნდა აიღოს როგორც სტუდენტურმა თვითმმართველობამ, ასევე ადმინისტრაციის ყველა იმ წევრმა, ვინც ხელი შეუწყო ამ ტრენინგების ჩატარებას. ვფიქრობთ, უნდა მოხდეს ამ ინსტიტუციის სრული რეორგანიზება, სტუდენტურ თვითმმართველობას სტუდენტურ ხარჯებზე მონოპოლია არ უნდა ჰქონდეს. აქციაზე მოსული ბევრი სტუდენტის მშობლები უამრავ დროსა და ენერგიას ხარჯავენ, რომ შვილებს სწავლის ფული გამოუგზავნონ და ამის პარალელურად სტუდენტური თვითმმართველობა ურცხვად აგრძელებს ყოველწლიურად ტრენინგების ჩატარებას. ამას ამართლებენ ერთი მიზეზით, რომ აქვთ ლეგიტიმაცია, მაგრამ ლეგიტიმაცია მათ არ აქვთ“, — ჩვენთან საუბარში აღნიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა სანდრო ტაბატაძემ.

ბაკურიანში ჩატარებული ტრენინგების საკითხს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი პაატა ბახტურიძე ჩვენთან საუბრისას გამოეხმაურა. მისი თქმით, ტრენინგების დაფინანსება მიზნობრივი ხარჯი იყო და სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ინსტიტუტი, რეორგანიზებას არ საჭიროებს.

„ხარჯი, რომელიც ბაკურიანის პროექტზე გავწიეთ, არმიზნობრივად არ უნდა ჩაითვალოს. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები უნივერსიტეტის ისეთივე თანამშრომლები არიან, როგორც სხვები. ამავე დროს, ისინი არ იღებენ ხელფასს და თანაც ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრებათ — ვართ სტუდენტები და ვმუშაობთ უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტი როგორც უნდა ზრუნავდეს სტუდენტებზე, ასევე უნდა ზრუნავდეს საკუთარი კადრების განვითარებაზე. ვგულისხმობ არა მხოლოდ სტუდენტურ თვითმმართველობას, არამედ ყველა დეპარტამენტს. სწორედ ამ ეგიდით გაკეთდა ბაკურიანის პროექტი. მე პრივილეგიებს არ დავარქმევდი იმას, რაც სტუდენტურ თვითმმართველობას გააჩნია. წევრი სტუდენტებისგან სხვადასხვა პროექტების ორგანიზება ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს. როგორ შეიძლება პრივილეგიად ჩაითვალოს საქმე, რომელშიც ანაზღაურებასაც არ იღებ. თუ ვინმეს ეს პრივილეგიად მიაჩნია, მაშინ თავად გახდნენ თვითმმართველობის წევრები. რაც შეეხება მოდერნიზაციას, სტუდენტური თვითმმართველობა დღეს არის როგორც წარმომადგენლობითი, ასევე აღმასრულებელი ორგანო. მიმაჩნია, რომ თუ სტუდენტურ თვითმმართველობას აღმასრულებელი ფუნქცია არ ექნება, ბევრი ღონისძიება ვეღარ ჩატარდება და უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება მოკვდება. შეიქმნება ახალი რეალობა და მერე შეიძლება ამაზეც დაიწყოს საპროტესტო აქციები. ჩვენ, კვირაში, დაახლოებით, ფაკულტეტების დონეზე 35 და ცენტრალურ დონეზე 15 პროექტს ვაკეთებთ, სადაც სტუდენტური თვითმმართველობის წევრები არ მონაწილეობენ, რათა ადგილები არ დააკავონ. პროექტებში მხოლოდ ორგანიზატორები არიან. ეს კარგია თსუ-ის განვითარებისთვის. ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტურ ცხოვრებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგების შედგენის პროცესშიც.

მე არ მინდა ეს სტუდენტური პროტესტი შევაფასო, როგორც კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული. მჯერა, რომ ეს არის სტუდენტების ჩართულობის ერთ-ერთი მაგალითი. ხშირად მივეცემით-ხოლმე ძილის მდგომარეობას, ასეთი ადამიანები კი უნდა არსებობდნენ, რომ გამოაღვიძონ ეს მიძინებული ადამიანები“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში პაატა ბახტურიძემ.

„სირცხვილის დერეფანი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოდან საპროტესტო აქციამ პირველი კორპუსის დერეფანში, რექტორატის წინ გადაინაცვლა. სტუდენტები თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნებიდან გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის მოხსნასა და სტუდენტური თვითმმართველობის ტრენინგების დაფინანსების თაობაზე თსუ-ის რექტორისგან პასუხს მოითხოვდნენ. აქცია ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა, ისმოდა შეძახილები — „არ გვინდა ასეთი კანცლერი“...

აქციის მონაწილე სტუდენტები კატეგორიულად მოითხოვდნენ თსუ-ის რექტორთან შეხვედრას და მათ რექტორატში შეღწევაც სცადეს, რის შემდეგაც ვლადიმერ პაპავა აქციის მონაწილე სტუდენტებთან გამოვიდა და პირადად ესაუბრა.

„გვაქვს შემდეგი კითხვები — რატომ გამოუყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ 25 000 ლარი სტუდენტურ თვითმმართველობას? შეგახსენებთ წინა შეხვედრას, როდესაც თქვენ თქვით, რომ წინა წელს 19 000 ლარი ისე გამოუყავით, ისე მოაწერეთ ხელი, რომ ამის შესახებ არ იცოდით. რატომ მოაწერეთ ახლა ხელი? თუ თქვენ თვითმმართველობის გეშინიათ, ჩვენ ვამბობთ, აქ ძალა ჩვენც გვაქვს, უნივერსიტეტი ჩვენც გვიყვარს და ჩვენი ინტერესები გვაქვს. ამასთანავე, არის კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ აკადემიური საბჭო იცვლის გადაწყვეტილებას, არის მინიშნებები ყველა მხრიდან, რომ ამ აკადემიურ საბჭოს წევრებზე აქვთ ზეწოლა უშიშროების სამსახურებს. თქვენ რას აკეთებთ ამ სამსახურების გავლენის დასაბალანსებლად? უნივერსიტეტი უნდა მართოს უშიშროებამ თუ თქვენ და აკადემიურმა საბჭომ? დავიღალეთ! თქვენ იცით, როგორი კონსტრუქციული დამოკიდებულება აქვთ სენატის წევრ სტუდენტებს თქვენი პროგრესული გადაწყვეტილებების მიმართ, მთელი გულით გიჭერდით მხარს პლაგიატის წინააღმდეგ ზომების მიღების დროს. ნუ მისცემთ საშუალებას, რომ გარეშე ძალებმა მართონ უნივერსიტეტი“, — მიმართა რექტორს აქციის მონაწილე სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

„ჩვენ გვქონდა სენატზე საუბარი, რომ შემოგვეღო წესი — როგორ უნდა მომხდარიყო სტუდენტური პროექტების დაფინანსება. ეს საკითხი გასული წლის დეკემბრის ბოლოს დავაყენეთ, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ მარტივი მიზეზის გამო: ეს აქტი უნდა გამოსცეს რექტორმა და კანცლერმა ერთობლივად, ხოლო დეკემბრის ბოლოდან ბატონი დავით ჩომახიძე გავიდა შვებულებაში, შემდეგ კი გაუთავდა ვადა. მე სპეციალურად ამოვწიე — 2015 წლის ბიუჯეტიდან რა თანხა დაიხარჯა ზოგადად სტუდენტებზე და რა თანხა — სტუდენტურ თვითმმართველობაზე. თანაფარდობა ასეთია: სტუდენტური პროექტებისთვის გამოყოფილი თანხის 22% დაიხარჯა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შემოთავაზებულ პროექტებზე. მომავალში სტუდენტური პროექტების დაფინანსების რეგულაციის წესს აუცილებლად შევიმუშავებთ – მე კანცლერის არჩევას ველოდები მხოლოდ.

კანცლერის არჩევის საკითხი აკადემიურმა საბჭომ ორჯერ განიხილა. იოსებ არჩვაძის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს 8 წევრმა დაუჭირა მხარი, მაგრამ მან მანამდე მოხსნა კანდიდატურა, სანამ სენატის სხდომა შედგებოდა. შემდეგ შეირჩა გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურა, რომელსაც აკადემიური საბჭოს 9 წევრმა დაუჭირა მხარი. 5-მა წევრმა ხმა წინააღმდეგ მისცა, მათ შორის გახლდით მეც და ეს საჯაროთაც დავაფიქსირე. ეს საკითხი, როგორც აკადემიურ საბჭოზე, ასევე გიორგი გაფრინდაშვილთანაც განვიხილე. პირადად მას უარყოფითად არ ვაფასებ, მაგრამ როდესაც არსებობს უნივერსიტეტის გახლეჩვის საშიშროება, სწორედ ამიტომ არ მიმიცია მისთვის ხმა. სენატის სხდომა დანიშნულია 10 მარტს და მე, როგორც რექტორი, ვალდებული ვარ — მოვახსენო აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ სენატს და მზად ვარ ყველა კითხვას გავცე პასუხი“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ აქციის მონაწილეებთან შეხვედრისას.

რექტორის პასუხი სტუდენტური თვითმმართველობის წევრი სტუდენტების ტრენინგების დაფინანსებასთან დაკავშირებით აქციის მონაწილე სტუდენტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

„ჩვენ პირველ კითხვაზე არ მოგვისმენია პასუხი. პროცენტებით საუბარი არაფერს ნიშნავს! ეს არის ირიბი პასუხი და პასუხისმგებლობის თავიდან არიდება იმის თაობაზე, თუ რატომ მოეწერა ხელი იმას, რასაც მოეწერა“, — განაცხადა ანა კამლაძემ.

აქციის მონაწილე სტუდენტებმა თსუ-ის რექტორთან ვლადიმერ პაპავასთან საუბრის შემდეგ აკადემიური საბჭოს იმ წევრებთან შეხვედრა მოითხოვეს, რომლებმაც თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნებში გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი. პროტესტანტი სტუდენტები აკადემიური საბჭოს წევრებს პირველი კორპუსის 107-ე აუდიტორიაში დაახლოებით 1 საათის განმავლობაში ელოდნენ. აქციის მონაწილე სტუდენტები ოვაციებით შეხვდნენ აუდიტორიაში აკადემიური საბჭოს წევრის ქეთევან ჭკუასელის გამოჩენას და მადლობა გადაუხადეს იმ პრინციპული პოზიციის გამო, რომ მან მხარი არ დაუჭირა გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას. პროტესტანტი სტუდენტები სტვენითა და შეძახილებით — „სირცხვილია!“ შეხვდნენ აკადემიური საბჭოს იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც კანცლერობის კანდიდატად გიორგი გაფრინდაშვილი შეარჩიეს და რომლებიც აუდიტორიაში რექტორთან ერთად შემოვიდნენ. მათგან სტუდენტებმა კატეგორიულად მოითხოვეს ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დაუჭირეს გაფრინდაშვილის კანდიდატურას მხარი. აკადე-

მე-3 გვერდზე

საპროტესტო აქციის პირველი დღე

მეორე გვერდიდან

მიური საბჭოს წევრების, ბატონების რამაზ ქურდაძისა და გიორგი გოგსაძის პასუხებს პროტესტანტი სტუდენტები უარყოფითი შეძახილებითა და სტვენით პასუხობდნენ. სტუდენტებს პრეტენზია ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, რომ აკადემიური საბჭოს წევრები არ დაინტერესებულან კანცლერობის კანდიდატის წარსულით. ამ წარსულში სტუდენტები გულისხმობდნენ და ხმამაღლა ამბობდნენ, რომ გიორგი გაფრინდაშვილი უნივერსიტეტში კანცლერის თანაშემწის პოსტის დაკავებამდე გახლდათ სტუდენტური თვითმმართველობის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც, სტუდენტების ინფორმაციითვე, ხელს აფარებდა განსხვავებული აზრის მატარებელი სტუდენტების მაშინდელი ცემატყეპის ფაქტებს, ან, სულ ცოტა, გულგრილი იყო ამ ფაქტების მიმართ.

ყავს თუ არა უნივერსიტეტს „ოდეერი“?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში გადმონაცვლებულ საპროტესტო აქციაზე უნივერსიტეტელმა სანდრო ცაგარელმა ახალი თემა შემოიტანა და რექტორს მიმართა: „აქ სხედხართ აკადემიური საბჭოს წევრები და უნივერსიტეტის რექტორი, წესით, თქვენ ხართ უნივერსიტეტის ღირსების დამცველები, და მინდა გკითხოთ: უნივერსიტეტში მუშაობს ერთი ადამიანი — ივა კავსაძე. შეგიძლიათ გამცეთ პასუხი — ვინ არის იგი? მე გეტყვით, ეს არის ადამიანი, რომელიც ასრულებს თსუ-ში „ოდეერის“ ფუნქციებს და არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური თანამშრომელი, რომელიც 2013 წლის ნოემბერში დაინიშნა უნივერსიტეტში კანცლერის თანაშემწის პოსტზე. იგი მანამდე იყო ლარსის საბაჟოს უფროსი და შემდგომ დაკავებული იქნა ე.წ. მე-9 არხის თეფშების დამტვრევის ფაქტების გამო. აღმოჩნდა, რომ ყველანაირი მართლმსაჯულების გარეშე უცებ ივა კავსაძე იკავებს უნივერსიტეტში თანამდებობას. ბატონო რექტორო, ეს თქვენ იცით და მე ვიცი, რომ ეს თქვენ იცით! რა პასუხს გასცემთ სტუდენტებს? ამის შემდეგ რა ღირსების დაცვაზეა საუბარი?“ .

სანდრო ცაგარელის ამ შეკითხვას ლევან ლორთქიფანიძის რეპლიკა მოჰყვა: „ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი კანცლერის არჩევის პროცესში აქტიურადაა ჩართული და ამ ადამიანის პასუხისმგებლობაა

ის, რომ ზოგიერთი ჯგუფი უნივერსიტეტში ძალიან მაღალ დაფინანსებას იღებს, თქვენ კი უწევთ ამ ყველაფერს წინააღმდეგობას? თუ მოხსნის გიორგი გაფრინდაშვილი კანდიდატურას, ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ თქვენ რაღაც შეგიძლიათ და თუ არ მოხსნის, მაშინ რა გამოდის — თქვენც ყოფილხართ იმ უშიშროების წარმომადგენელი?!“.

რექტორმა დასმულ შეკითხვებს ასე უპასუხა: „ოდეერის“ სისტემა ქვეყანაში არსებობს და პრინციპულად წინააღმდეგი ვარ, რომ ასეთი სისტემა არსებობდეს. მე ეს სისტემა დამხვდა, შემდეგ მოხდა საკადრო ჩანაცვლება. როცა მოვედი რექტორად, ვიცოდი — ვინ იყო. შემდეგ შეიცვალა ის პირი და მოვიდა ეს ახალგაზრდა კაცი — ივა კავსაძე. დადგა დრო, რომ ქვეყანა გათავისუფლდეს ამ სისტემისგან. ვერ გეტყვით — რა კონკრეტული დავალებები აქვთ და რა კონკრეტული ურთიერთობები არსებობს, ერთი შემიძლია გითხრათ, რომ გაფრინდაშვილი და კავსაძე, რამდენადაც ვიცი, არიან კურსელები თუ ჯგუფელები. აქედან გამომდინარე, მათ შორის ურთიერთობა იქნება, მაგრამ, კონკრეტულად, რა დავალებაა ამის უკან — ვერაფერს მოგახსენებთ ან საერთოდ არის კი დავალება? მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეს ორი ადამიანი არც უარყოფს ერთმანეთთან მეგობრობას“, — აღნიშნა ლადო პაპავამ. რექტორის ეს პასუხი სტუდენტებმა იმის დადასტურებად მიიჩნიეს, რომ უნივერსიტეტში „ოდეერი“ არსებობს. აქციის მონაწილე სტუდენტები ამ დასტურს სტვენით და შეძახილებით შეხვდნენ. რექტორმა სიტუაციის დასაშოშმინებლად პირობა მისცა სტუდენტებს, რომ მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდა, რათა კანცლერის ასარჩევად ახალი კონკურსი გამოცხადდეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური პასუხი თსუ-ში ე.წ. „ოდეერების“ ინსტიტუტის არსებობის შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონით განისაზღვრა სრულიად ახალი და გამჭვირვალე უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთა ინსტიტუტის ფუნქციონირების საკითხი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი ე.წ. „ოდეერების“ ინსტიტუტისაგან. კერძოდ, ცვლილებების შესაბამისად, ახალი ინსტიტუტი ემყარება ნებაყოფლობით საწყისებს. სამსახურის მიერ შესაბამის სუბიექტში წარმომადგენლის მივლენისა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განისაზღვრება ორმხრივი ხელშეკრულებით, რომლის გაფორმებაზე სამსახურისათვის მიმართვის უფლებამოსილება გააჩნია თავად დაინტერესებულ სუბიექტს. ამასთან, კონკრეტული სუბიექტების ჩამონათვალს, რომელშიც შესაძლებელია მივლენილ იქნეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, განსაზღვრავს არა ერთ-პიროვნულად უწყების ხელმძღვანელი, არამედ საქართველოს მთავრობა. აღნიშნული ნუსხა არის ყველასთვის ღია, გამჭვირვალე და მოიცავს 25 სუბიექტს, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით მაღალი რისკის შემცველია.ამ ჩამონათვალში საგანმანათლებლო დაწესებულებები არ შედის; შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სუს-ის თანამშრომელი არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება პიროვნებას, ბატონ ივა კავსაძეს, იგი სუს-ის თანამშრომელი არ გახლავთ“.

განახლებული აქცია, ჩაშლილი სხდომა და პოზიციები

10 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნული იყო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა, რომელზეც საბჭოს წევრებს აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი კანცლერობის კანდიდატის – გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურა უნდა განეხილათ.

თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ამავე დღეს, 4 საათზე, სენატის (წარმომადგენლობითი საბჭოს) სხდომის პარალელურად, ჩატარდებოდა სტუდენტების საპროტესტო აქცია, რისთვისაც ორგანიზატორებმა წინა დღეს თსუ-ის სტუდენტები მიიწვიეს.

აქცია 4 საათზე დაიწყო.

„ამომსვლელებმა ჩამოაყალიბეს ის საკითხები, რასაც სტუდენტობა პროტესტს უცხადებდა და თანადგომისკენ მოუწოდეს უნივერსიტეტის ლექტორებს და სტუდენტებს. „ეს არ არის მხოლოდ ერთჯერადი პროტესტი. ჩვენ მოვედით იმიტომ, რომ ჩვენი ხმა მივაწვდინოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ვერ გაიგეს — რა ხდება დღეს, ისე, როგორც ვერ გაიგეს რა ხდებოდა 2011 წელს, როცა სტუდენტებს სცემდნენ. ასე მგონია, რომ დღეს პოზიციის არქონა დანაშაულია. ამიტომ, ის, ვინც ძალადობის წინააღმდეგ არის, ჩვენს მხარეს უნდა დადგეს. უსამართლობაა, რომ თსუ-ის კანცლერობას აპირებს ადამიანი, რომელსაც შესაძლოა ხელი არ დაურტყამს ვინმესთვის, მაგრამ მოძალადე სისტემის ნაწილი იყო. მინდა მოვუწოდოთ უნივერსიტეტის ჯანსაღ ნაწილს, რომ დადგნენ სტუდენტების მხარეს,“ — განაცხადა აქციაზე თსუ-ის სტუდენტმა ანა-მარია ბრაგვაძემ.

აქციაზე გამომსვლელმა სტუდენტმა ნათია ქარჩილაძემ კი სტუდენტების ერთიანობას უნივერსიტეტის ავტონომიურობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა უწოდა და განაცხადა, რომ აქცია მიმართულია არა კონკრეტული პიროვნებების, არამედ მთლიანად სისტემის წინააღმდეგ, რომელიც უშვებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სათავეში ჩაუდგეს იმ სისტემის ნაწილი, რომელიც სტუდენტების თავისუფალი აზრის ჩახშობას უწყობდა ხელს: „ჩვენ რომ დღეს აქ შევიკრიბეთ და ჩვენს აზრს გამოვთქვამთ, ეს არის იმის დამსახურება, რომ სტუდენტები თავისუფალი აზრისთვის ვიბრძვით. თუ გიორგი გაფრინდაშვილი გახდება კანცლერი, ჩვენ ჩავვარდებით მოძალადე კანცლერის ხელში, რომელიც იძალადებს ჩვენზეც და იმ სტრუქტურებზეც, რომლებიც სტუდენტურ თავისუფალ აზრს ხელს უწყობს, ამიტომ უნივერსიტეტის ავტონომიურობისა და თავისუფლებისათვის ერთად უნდა დავდგეთ“, — განაცხადა მან.

სტუდენტმა გიორგი ჯავახაძემ თავის გამოსვლაში პირდაპირ მოუწოდა კანცლერობის კანდიდატს – გიორგი გაფრინდაშვილს კანდიდატურის მოხსნისკენ. „აქციებს ვმართავთ იმის საჩვენებლად, რომ უნივერსიტეტი უპატრონო არ არის. ჩვენ კიდევ ერთ შანსს ვაძლევთ გიორგი გაფრინდაშვილს, რომ, სანამ სენატის სხდომა დაიწყება, მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება და მოხსნას კანდიდატურა. ნურავინ დაიჯერებს, რომ რაიმეს შეცვლის უნივერსიტეტში კაცი, რომელიც წლების განმავლობაში სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს აქ არსებული გაუსაძლისი პირობების გაუმჯობესებისათვის“, — განაცხადა გიორგი ჯავახაძემ.

განსაკუთრებით გაუსვა ხაზი უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის (ე.წ. „ოდეერის”) უნივერსიტეტში ყოფნის მიზანშეუწონლობას სტუდენტმა გიორგი არობელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს პირდაპირი ზეწოლაა უნივერსიტეტის ავტონომიურობაზე, აკადემიურ და გამოხატვის თავისუფლებაზე. „ჩვენ გვინდა უნივერსიტეტი, რომელიც არ იმართება უშიშროების მიერ; ჩვენ გვინდა უნივერსიტეტი, სადაც აკადემიური თავისუფლება დგას ყველაზე და ყველაფერზე მაღლა; გვინდა უნივერსიტეტი, სადაც მაღალი თანამდებობები არ ეკავებათ მოძალადეებს და მოძალადეების მფარველ ადამიანებს. საკითხი დგას ძალიან მარტივად: ჩვენ გვინდა ისეთი კანდიდატი, რომლითაც კმაყოფილი იქნება ყველა – აკადემიური საბჭოც, სენატიც და სტუდენტებიც, ჩვენ გვინდა ისეთი კანდიდატი, რომლის წარსულიც არ ბადებს ეჭვებს. ის, რაც დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება, არის სირცხვილი. არ შეიძლება უნივერსიტეტის შიდა პროცესებზე გადაწყვეტილებას იღებდეს ვიღაც უშიშროების წარმომადგენელი. ეს არის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც, გვქონდა ილუზია, რომ დამთავრდებოდა და წლებია, მაინც გრძელდება. ჩვენ აქ ვართ, რომ უარი ვთქვათ უშიშროების მმართველობაზე, უარი ვთქვათ სახელმწიფოს უხეშ ჩარევაზე უნივერსიტეტის ავტონომიაში. დავიცვათ უნივერსიტეტის ავტონომია!“, — მიმართა აქციის მონაწილეებს გიორგი არობელიძემ.

სტუდენტთა განსაკუთრებული ოვაცია მოჰყვა თსუ-ის სენატის წევრის, მაგისტრანტ ლევან ლორთქიფანიძის გამოსვლას, რომელმაც უარყო გავრცელებული ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს კონკრეტული ადამიანები მართავენ (დასახელდნენ: გოგი გვახარია, ლადო პაპავა და გია ჟორჟოლიანი). „ჩვენ გვმართავს მხოლოდ ერთადერთი რამ – უნივერსიტეტს შევუნარჩუნოთ სინდისი!“, — აღნიშნა მან.

ლევან ლორთქიფანიძემ, როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, სრული მზადყოფნა გამოთქვა, შეასრულოს სტუდენტების მითითება სენატის სხდომაზე: „ჩვენი ყველაზე დიდი გულისტკივილი არის ის, რომ ჩვენს გვერდით არის ძალიან ცოტა პროფესორი — ბევრი აუდიტორიაშია, ბევრიც – ოთახებში ზის და ელოდება, რა მოხდება. თუმცა აქ, ჩვენს გვერდით, არიან პროფესორები, რომლებსაც ეყოთ ღირსება და გამბედაობა. ჩვენი პროტესტი არის აბსოლუტურად სამართლიანი. ჩვენ არ ვიბრძვით ვიღაც ერთი კანდიდატის კანცლერად გახდომისთვის – ამისთვის სხვები იბრძვიან. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ უნივერსიტეტს ავაცილოთ დაპირისპირება, ერთმანეთში ბრძოლა, გახლეჩა და დაყოფა. ბატონი გაფრინდაშვილი, თავისი კავშირებით წინა ძალადობრივ სისტემასთან, ახლანდელ ,,ოდეერთან” და ა.შ., არის აბსოლუტურად მიუღებელი სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთხოვთ განსაკუთრებით სენატის წევრ პროფესორებს, არ დაუშვან გახლეჩა, აიღონ პასუხისმგებლობა და არ დაუჭირონ მხარი გაფრინდაშვილს. ყველაფერი, რაც მოხდება უნივერსიტეტში, იქნება იმ პროფესორების და სენატის იმ წევრების პასუხისმგებლობა, რომლებმაც პირში წყალი ჩაიგუბეს, შეშინდნენ და უკან დაიხიეს, თუმცა, იმედი მაქვს, ისინი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდებიან. რაც შემეხება მე, როგორც სენატის წევრი, არჩევის დღიდან ვამბობ, რომ ვახორციელებ იმპერატიულ მანდატს – ანუ მე შევასრულებ იმას, რასაც მეტყვით თქვენ, ის ამომრჩევლები, რომლებმაც ჩემს კანდიდატურას დაუჭირეთ მხარი. როგორც არ უნდა დასრულდეს სენატის სხდომა, უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავისი საქმე უკვე გააკეთეს. ჩვენ ვებრძვით იმას, რომ ,,ოდეერი” მართავდეს უნივერსიტეტს, რომ ვიღაცები არადემოკრატიულად აღარ გვინიშნავდნენ კანდიდატებს და ეს არის უკვე გამარჯვება!“, — განაცხადა მან.

უნივერსიტეტის სტუდენტმა სანდრო ტაბატაძემ თავის გამოსვლაში კიდევ ერთხელ დააფიქსირა სტუდენტების მოთხოვნა — კანცლერის თანამდებობაზე არჩეულ იქნას ადამიანი, რომელიც არ ასოცირდება ძალადობრივ რეჟიმთან და არ ამძიმებს წარსული. „ჩვენ არ ვითხოვთ არაფერს განსაკუთრებულს. ჩვენ ვითხოვთ, რომ გვყავდეს ნეიტრალური და მოუკერძოებელი კანცლერი. ის უნდა იყოს არა რექტორატის, არა უსაფრთხოების სამსახურის და არა სტუდენტური თვითმმართველობის, არამედ მთელი უნივერსიტეტის კანცლერი. ძალიან სამწუხაროა, რომ გიორგი გაფრინდაშვილს, რომელიც აკადემიური საბჭოს მიერ სენატისთვის წარდგენილი ერთადერთი კანდიდატია, არ აღმოაჩნდა საკმარისი გონიერება იმისთვის, რომ სტუდენტებს შორის დაპირისპირება არ მომხდარიყო. ჩვენ უარს ვამბობთ ნებისმიერ არაკონსტიტუციურ ქმედებაზე, მაგრამ მოგიწოდებთ, გავერთიანდეთ ყველა სტუდენტი, რომელსაც აქვს ალტერნატიული აზრი. ჩვენ ვამბობთ – თსუ-ის სენატის სხდომა არის საჯარო და გამჭვირვალე, ჩვენ ვართ ამ უნივერსიტეტის სტუდენტები, ეს არის ჩვენი წარმომადგენლობითი ორგანო! უნივერსიტეტი არის სტუდენტების და ლექტორების და მოგიწოდებთ – უარი ვთქვათ მოძალადე კანცლერზე!“, — განაცხადა მან და აქციის მონაწილეებს მოუწოდა, მისულიყვნენ იმ დარბაზთან, სადაც დანიშნული იყო სენატის სხდომა.

ამ წუთიდან უნივერსიტეტში სიტუაცია დაიძაბა, რადგან სტუდენტებს რექტორატის მხარეს მდებარე კარი ჩაკეტილი დახვდათ. ხმაურისა და პროტესტის პარალელურად, მათ თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტიდან მოითხოვეს განმარტება, თუ რატომ არ ეძლეოდათ სენატის სხდომაზე დასწრების უფლება.

მე-4 გვერდზე

განახლებული აქცია, ჩაშლილი სხდომა და პოზიციები

მესამე გვერდიდან

უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებსა და აქციის მონაწილეთა შორის მცირე შეხლა-შემოხლას მოჰყვა პატრულის თანამშრომლების გამოძახება და უნივერსიტეტის შიდა პერიმეტრზე შემოსვლა, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. სტუდენტები სტვენით და შეძახილებით შეხვდნენ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს და მოითხოვეს — დაეტოვებინათ შენობა.

სტუდენტების მოთხოვნას გამოეხმაურა უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა, რომელმაც აღნიშნა, რომ სამართალდამცველების შემოსვლა არ იყო დაგეგმილი. „მათი ერთადერთი მიზანია, დაიცვან სტუდენტების უსაფრთხოება, მაგრამ შიდა პერიმეტრზე არ უნდა იყვნენ. მე მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს, დატოვონ უნივერსიტეტის შენობა!“, — განაცხადა რექტორმა და ასევე აღნიშნა, რომ თუ სენატი არ შეიკრიბება, კანონიერი ქმედება ვერ განხორციელდება და საკითხის გადაწყვეტა ჩიხში შევა. მან შექმნილ სიტუაციას ექსცესი უწოდა და მედიასთან საუბარში აღნიშნა, რომ სენატის სხდომის ჩატარებას განსაზღვრავს როგორც უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, ასევე უნივერსიტეტის წესდება. „წესდებით გათვალისწინებულია სენატის სხდომის ჩატარება. დღეს გაიმართება თუ არა ის, ისევ სენატის გადასაწყვეტია. ჩემი მთავარი პოზიციაა – უნივერსიტეტი ასრულებდეს მთავარ ფუნქციას — სწავლებას და სამეცნიერო საქმიანობას. ნებისმიერი ექსცესი, რაც ახლა ხდება, უნივერსიტეტისთვის არის მიუღებელი. ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს. ასეთ ვითარებაში სენატის სხდომის ჩატარება შეუძლებელია“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

ამის შემდეგ სტუდენტებთან სასაუბროდ მივიდნენ სენატის სპიკერი, პროფესორი კახაბერ ლორია და სენატის წევრი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური, რომლებმაც სტუდენტებს შესთავაზეს – გადასულიყვნენ უფრო დიდ დარბაზში, სტუდენტთა წარმომადგენლობა დასწრებოდა სხდომას და კანონიერი გაგრძელება მიეცათ კანცლერის არჩევის საკითხისთვის: „მე უკვე გითხარით, რომ თქვენს პოზიციაზე ვარ. ახლა მოგვეცით იმის საშუალება, რომ ჩავატაროთ სხდომა. მასზე დადგება წარმოდგენილი კანდიდატურის ლეგიტიმურობის საკითხი და ასევე დავაყენებთ მორალურ საკითხს — აქვს თუ არა კანდიდატს (გიორგი გაფრინდაშვილს) კანცლერად ყოფნის უფლება. გავიგოთ, რა პოზიცია აქვთ სენატის წევრებს. თუ სენატი მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც არც ჩემთვის არაა მისაღები, ან ავირჩევთ სასამართლოს გზას, ან იმავ წუთს შეგროვდება წევრთა ერთი მესამედის ხელმოწერა და დადგება კანცლერის იმპიჩმენტის საკითხი“, — მიმართა მათ გიორგი ოთხმეზურმა, თუმცა სტუდენტების მხარდაჭერა მის ამ წინადადებას არ მოჰყოლია.

მოგვიანებით, რექტორის განმეორებითი მიმართვის შემდეგ, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა უნივერსიტეტის შენობა დატოვეს. სენატის წარმომადგენლებმა კი მიიღეს გადაწყვეტილება, ჩაეშალათ სხდომა და პრობლემების განსახილველად 14 მარტს შეხვედროდნენ სტუდენტებს. ამ გადაწყვეტილებას სტუდენტთა უკმაყოფილება და პროტესტი მოჰყვა. მათი გადაწყვეტილება კი ღამის 10 საათისთვის გახდა ცნობილი: სტუდენტები არ დატოვებდნენ შენობას და უფრო ფართომასშტაბიან აქციას ჩაატარებდნენ მეორე დღეს.

აქციის წევრებმა 10 მარტის ღამე პირველი კორპუსის ფოიეში გაატარეს.

პოზიციები

ნიკოლოზ მეტრეველი, სტუდენტი:

— თქვენ ეწინააღმდეგებით გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას. რა არის ამის მიზეზი და აქამდე თუ გამოგითქვამთ პროტესტი მის წინააღმდეგ?

— პირველ რიგში, გული მწყდება, რომ უნივერსიტეტში ასეთი ფორსმაჟორული ვითარებაა შექმნილი — სენატის სხდომა, ფაქტობრივად, ჩაიშალა. დიდი იმედი მაქვს, რომ გიორგი გაფრინდაშვილს ეყოფა გონიერება და მოხსნის თავის კანდიდატურას. თუ ასე არ მოხდება, მაქვს სერიოზული შიში იმისა, რომ უნივერსიტეტი წინააღმდეგობების პოლიგონად გადაიქცევა და სასწავლო პროცესი ჩაიშლება.

ეს ადამიანი არის ჩვენთვის მიუღებელი, იქიდან გამომდინარე, რომ წლების განმავლობაში იყო კანცლერის თანაშემწე და ამაზე არაერთხელ ღიად მისაუბრია. მე ყოველთვის უკმაყოფილო ვიყავი ჩომახიძის საქმიანობითაც. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ჩომახიძემ უნივერსიტეტში „ოდეერის“ არსებობის შესახებ ყველაფერი იცოდა, რადგან ივა კავსაძე მისი თანაშემწე იყო.

— აქციაზე ისმის, რომ გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის უკან სხვა ძალები დგანან. თქვენ როგორ ფიქრობთ, რაიმე ფონია ისეთი, რომელიც საგანგაშოა უნივერსიტეტისთვის?

— მე ამ ძალად ვასახელებ ირაკლი ბურდულს. ეს ადამიანი ძალიან ცუდად აფათურებს ხელებს უნივერსიტეტის საქმეებში. მისი მეშვეობით ხდება ვიღაცების ლობირება და „დაკრიშვა“, ამას ვაცხადებ ხმამაღლა და მისგანაც ვითხოვთ პასუხს. არ გამოვრიცხავ, რომ მის უკან კუბლაშვილების ინტერესები იყოს.

ბახვა კვირიკაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარე:



— თქვენ მხარს უჭერთ გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას, მაშინ, როცა აქციის მონაწილეები მის ძალადობრივ სისტემასთან კავშირზე მიუთითებენ. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ მასთან დაკავშირებით?

— ჩემთვის ნებისმიერ ეჭვს სჭირდება დასაბუთება. რაც შეეხება გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას და მასთან დაკავშირებულ ბრალდებებს, ამ შემთხვევაში რეალური დოკუმენტაცია, რომ იგი მონაწილეობდა ცემაში, ან რომ მან ვინმეს ხელი დააფარა — არ არსებობს. ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში — ფეისბუქგვერდზე — გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც პირი, რომელიც 2011 წელს სცემეს, ამბობს, რომ ამ ყველაფერთან გიორგი გაფრინდაშვილს არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მის მიერ ძალადობრივ აქტში მონაწილეობა არც იმ ვიდეოში ჩანს, რომელსაც ავრცელებენ — იგი იქ დგას და ამბობს, რომ არ იცის, სად სცემეს სტუდენტები და ეს ყველა ადამიანს შეუძლია გაიგოს ისე, როგორც სურს. აქედან რეალური დასკვნის გამოტანა, რომ გიორგი გაფრინდაშვილმა ვინმე სცემა ან ხელი დააფარა, ვფიქრობ, ყოველგვარ სერიოზულობას მოკლებულია.

— გიორგი გაფრინდაშვილი ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტი იყო. ეს დღევანდელ სტუდენტობას იმის თქმის საფუძველს აძლევს, რომ ის დაკავშირებული იყო მანკიერ სისტემასთან...

— ჩემი აზრით, ადამიანის სტუდენტურ თვითმმართველობაში ყოფნა არ უნდა იყოს მისი დასჯის მიზეზი. თუ ჩაგვატარებინებენ სენატის სხდომას, მოგვიტანონ ყველანაირი დოკუმენტი, გააცნონ სენატის სხვა წევრებსაც და აგვიხსნან — რის საფუძველზე ხდება სტუდენტთა რაღაც ჯგუფის მხრიდან გულწრფელი თუ არაგულწრფელი პროტესტი. ამის შემდეგ სენატის ყველა წევრი მიიღებს გადაწყვეტილებას — იყოს თუ არა გიორგი გაფრინდაშვილი უნივერსიტეტის კანცლერი.

— აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ გიორგი გაფრინდაშვილს კავშირი აქვს უნივერსიტეტის „ოდეერთან" – ივა კავსაძესთან, რომ სწორედ იგი აფარებს ხელს კანცლერობის კანდიდატს.

— რაც შეეხება ივა კავსაძეს, ამ ადამიანს პირადად არ ვიცნობ. ვიცი, რომ არის (თუ იყო) კანცლერის თანაშემწე. რაც შეეხება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლობას, ამ შემთხვევაში გვაქვს, ერთი მხრივ, ვლადიმერ პაპავას და სტუდენტების ეჭვი, რომ ბატონი ივა არის კონკრეტული სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი და სხვა ძალებიდან ცდილობს უნივერსიტეტის გაკონტროლებას, მეორე მხრივ კი — სახელმწიფო დაწესებულების ოფიციალური განცხადება, რომელიც, პირველ რიგში, უარყოფს აღნიშნული უწყების თანამშრომლის საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს, და მეორეც, აცხადებს, რომ ბატონი ივა კავსაძე მათი თანამშრომელი არ არის. ანუ ჩვენ გვაქვს ორი მხარე, რეალურად ვინ-ვის გადაწონის — არ ვიცით, ამიტომ გვჭირდება ოფიციალური დადასტურება იმ კონკრეტული პირებისგან, ვინც იმას ამბობს, რომ ივა კავსაძე არის თანამშრომელი. სხვა შემთხვევაში, ჩვენც მარტივად შეგვიძლია ვთქვათ ნებისმიერ ადამიანზე, რომ უშიშროების თანამშრომელია.

— როგორ ფიქრობთ, უნდა მოხსნას თუ არა გიორგი გაფრინდაშვილმა კანდიდატურა?

— ეს უკვე ნებისმიერი ადამიანის ინდივიდუალური გადაწყვეტილებაა. მე ვესწრებოდი სტუდენტების მიერ ორგანიზებულ შეკრებას — საჯარო დებატებს. გიორგი ერთადერთი კანდიდატი იყო, რომელმაც რეალური განვითარების გეგმა წარადგინა.

დღეს, ვფიქრობ, უნდა გაიმართოს სენატის სხდომა, კონსტრუქციულ რეჟიმში დავსვათ კითხვები და ამის შემდეგ გადავწყვიტოთ, იყოს თუ არა გიორგი გაფრინდაშვილი უნივერსიტეტის კანცლერი.

— არსებობს მოსაზრება, რომ გიორგი გაფრინდაშვილის უკან დგას ნაციონალების ფრთა...

— აქ ლოგიკა ძნელი საპოვნელია. ადამიანს, რომელსაც, თურმე, ქართული ოცნების მთავრობაში მყოფი უშიშროება აკონტროლებს, მხარს უჭერს ნაციონალები? მე იმ ფაქტებს ვერ დავიჯერებ, რაშიც ლოგიკა არ არსებობს.

კანცლერობის კანდიდატის განცხადება

10 მარტს დღის ბოლოს კანცლერობის კანდიდატის გიორგი გაფრინდაშვილის განცხადება გაავრცელა უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა. განცხადებაში ნათქვამი იყო: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობასთან დაკავშირებით მინდა გავაკეთო შემდეგი განცხადება:

1. მივესალმები თითოეული ადამიანის მიერ საკუთარი აზრის გამოხატვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას, თუმცა ერთის უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორეს თავისუფლება. როგორც ბოლო პერიოდში გამოიკვეთა, ჩემ მიმართ გაჟღერდა უამრავი ბრალდება გარკვეული წრეების მიერ, თუმცა მე ვერ მოვისმინე ამ ბრალდებების დამადასტურებელი ვერც ერთი არგუმენტი, გარდა ცარიელი სიტყვებისა. წინასაარჩევნო პერიოდში არა ერთი საჯარო შეხვედრა ჩატარდა პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. მათგან შემიძლია გამოვყო შეხვედრა სტუდენტებთან, რომელიც ორგანიზებული იყო იმ სტუდენტების მიერ, რომლებიც დღეს ჩემ მიმართ მძაფრი ბრალდებების ავტორები არიან. მე მზად ვიყავი, პასუხი გამეცა ნებისმიერ შეკითხვაზე, თუმცა აღნიშნულ შეხვედრაზე არ ყოფილა არც ერთი მსგავსი შეკითხვა გაჟღერებული, რაც მიქმნის გარკვეული ეჭვის საფუძველს. სულ ცოტა ხნის წინ ერთერთი ტელევიზიის ეთერში სენატის წევრის მიერ ისიც კი იქნა თქმული, რომ მე ვარ ძალოვანი უწყებების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი, რაც არის აბსოლუტური სიცრუე, ცილისწამება და მიზნად ისახავს ჩემი კანდიდატურის დისკრედიტაციას წარმომადგენლობითი საბჭოსა და მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემთვის ყოვლად მიუღებელია პიროვნების პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი განცხადებების გაკეთება დაუდასტურებელ და უსაფუძვლო ცნობებზე დაყრდნობით.

2. მინდა მადლობა გადავუხადო თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს გამოხატული ნდობისათვის და აკადემიურ საბჭოს ჩემი კანდიდატურის მხარდაჭერისა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგინებისათვის. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შედეგად გავიარე კონსულტაციები საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ვაცხადებ, რომ ჩემ მიმართ უნივერსიტეტის უმაღლესი ინსტიტუციების მიერ გამოცხადებული ნდობის საპასუხოდ, არ ვხსნი ჩემს კანდიდატურას. მიზანშეწონილად მიმაჩნია, წარმომადგენლობითმა საბჭომ განახორციელოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ზეწოლისაგან თავისუფალ გარემოში.

3. გაჟღერებული ინფორმაციის საფუძველზე ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგ განწყობილ ადამიანთა ჯგუფი აპირებს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დროს შეკრებას, რისი უფლებაც, ბუნებრივია, მათ გააჩნიათ. ამის საპირისპიროდ, მინდა, ვთხოვო ჩემი კანდიდატურის მხარდამჭერ პირებს, განსაკუთრებით სტუდენტებს, თავი შეიკავონ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში აღნიშნულ დროს მოსვლისაგან, რათა კიდევ უფრო არ დაიძაბოს სიტუაცია, შესაბამისმა ძალებმა არ ისარგებლონ შექმნილი სიტუაციით და არ მოხდეს უნივერსიტეტის სახელის შელახვა“, — აღნიშნავს გიორგი გაფრინდაშვილი თავის განცხადებაში.

მოამზადა
მაია ტორაძემ

11 მარტის აქცია

11 მარტს საპროტესტო აქცია დილიდანვე განახლდა. აქციის მონაწილეებთან „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი სოლიდარობის გამოხატვის მიზნით მივიდა, თუმცა პროტესტანტმა სტუდენტებმა იგი უკან გააბრუნეს იმის დასტურად, რომ ემიჯნებიან ყველა პოლიტიკურ პარტიას.

აქციის მონაწილე სტუდენტები თსუ-ის კანცლერობის კანდიდატისგან გიორგი გაფრინდაშვილისგან კანდიდატურის მოხსნას კვლავ ითხოვდნენ. აქციის მონაწილეებს საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მრჩევლები სოფიო შამანიდი და კახა კოჟორიძე შეხვდნენ. მათ აღნიშნეს, რომ „უნივერსიტეტის შიდა საქმეებში არავინ უნდა ჩაერიოს და თუ ვინ უნდა იყოს კანცლერის თანამდებობაზე წარდგენილი, თავად უნივერსიტეტმა უნდა გადაწყვიტოს“.

გიორგი გაფრინდაშვილის მიმართვა მხარდამჭერების ფონზე

11 მარტს სტუდენტების საპროტესტო აქციის პარალელურად თსუ-ის მეორე კორპუსში კანცლერობის კანდიდატის გიორგი გაფრინდაშვილის მხარდამჭერი სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და უნივერსიტეტის თანამშრომლები შეიკრიბნენ, სადაც გიორგი გაფრინდაშვილმა მის მიმართ გამოთქმული ბრალდებებისა და სტუდენტების მოთხოვნების საპასუხოდ მედიასთან განცხადება გააკეთა.

„უპირველესად ბოდიში მინდა მოვუხადო ჟურნალისტებს, აქამდე საჯაროდ განცხადებები არ გამიკეთებია, რათა არ გამოეწვია დაპირისპირება სტუდენტებს შორის, სადაც არიან როგორც ჩემი მომხრეები, ასევე — მოწინააღმდეგეები. უნივერსიტეტში არსებული პრობლემები — ეს გახლდათ მიზეზი, რის გამოც მე დავაყენე ჩემი კანდიდატურა აღნიშნულ თანამდებობაზე. ბუნებრივია, პრობლემები არსებობს და ეს პრობლემები უნდა გადაიჭრას სტუდენტებთან ერთად. მე არ გავქცევივარ არც ერთ საჯარო შეხვედრას, მათ შორის იმ ადამიანების ორგანიზებულ შეხვედრასაც დავესწარი, რომლებიც დღეს აპროტესტებენ და ითხოვენ ჩემს მიერ კანდიდატურის მოხსნას. მათ გავაცანი ჩემი ხედვები, გვქონდა საუბარი, თუ რა სახით უნდა განხორციელებულიყო ეს პროექტები, ჩემი პროგრამა მათთვის ცნობილია. ამ სიტუაციაში ერთადერთ გამოსავლად მიმაჩნია, მხოლოდ და მხოლოდ, კონსტრუქციულ რეჟიმში აღნიშნული საკითხის გადატანა. მე მზად ვარ, კონსტრუქციულ რეჟიმში, შესაბამის გარემოში ნებისმიერ კითხვას გავცე პასუხი და, ასევე პრიორიტეტებს, რომელიც არის განსაზღვრული ჩემს საარჩევნო გეგმაში, სტუდენტებთან ერთად გადავხედო. გადახედვაში ვგულისხმობ, თუ რაიმე არ არის გეგმაში, რაზეც სტუდენტებს აქვთ მოთხოვნა, დაკონკრეტდეს. დაუშვებელია მოხდეს აღნიშნული საკითხის პოლიტიზირება, რადგან უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს და ახლაც გააჩნია ავტონომია. ეს არის ჩემი უპირველესი და ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომ უნივერსიტეტში შენარჩუნდეს ავტონომია. ასევე, მინდა მოვუწოდო ყველა პოლიტიკურ პარტიას თავი შეიკავოს აღნიშნულ პროცესში ჩართვისგან და ვთხოვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს — უზრუნველყონ კანონით დაკისრებული ვალდებულება და შედგეს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა. აკადემიური საბჭოს 9 წევრმა მხარი დამიჭირა! მე პატივს ვცემ კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, ასევე პატივს ვცემ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებას, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი კანონიერი უფლება გამაჩნია — წარვდგე 9 ხმით, აკადემიური საბჭოს უმრავლესობის მხარდაჭერით, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე. რაც შეეხება თავისუფალი აზრის გამოთქმას, მივესალმები, რომ დაფიქსირდეს თავისუფალი აზრი, მაგრამ მან არ უნდა მიიღოს ძალადობის სახე!“, — განაცხადა გიორგი გაფრინდაშვილმა.

თსუ-ის კანცლერობის კანდიდატმა, ასევე, უპასუხა იმ ბრალდებებს, რაც საპროტესტო აქციაზე მისი მისამართით გაჟღერდა.

„ბრალდებებთან დაკავშირებით არ არსებობს არანაირი დამადასტურებელი ფაქტები. ეს არის ღირსების შემლახველი, რაც ვრცელდება ჩემ წინააღმდეგ. მე გავავრცელე განცხადება და კიდევ ერთხელ დავადასტურებ, თუ რომელიმე ფაქტი დადასტურდება და მას ექნება შესაბამისი სამართლებრივი კვალიფიკაცია, რომლის მიხედვითაც მე ვარ მოძალადე ან ვფარავდი რაიმე სახის დანაშაულს, არა თუ უნივერსიტეტში, არამედ საჯარო სამსახურშიც არ ვიმუშავებ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

ვიცი ვიდეოს შესახებ, რომელიც გავრცელებულია. ეს არის სიუჟეტი, რომელიც, ბუნებრივია, სრულად ვერ მოიცავს მაშინ არსებულ ვითარებას. შეგიძლიათ ჰკითხოთ ნეიტრალურ ადამიანებს, ვინც იქ იმყოფებოდნენ და დეტალურად აღწერენ არსებულ მდგომარეობას. არა თუ უნივერსიტეტში, არამედ არსად ასეთი სახის დაპირისპირება სტუდენტებს შორის არ უნდა ხდებოდეს და, ბუნებრივია, ვგმობ აღნიშნულ ფაქტს. რაც შეეხება ჩემს იქ მოქმედებას, სტუდენტებმა იქ მიმიწვიეს თავიანთი პრობლემის გასაზიარებლად და მე, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მივედი მათი პრობლემის მოსასმენად. მოხდა სამწუხარო ფაქტი, რაც

თქვენთვისაც ცნობილია. რა შემეძლო მე იქ გამეკეთებინა? პირველი, რაც მოვიმოქმედე — დაცვის სამსახურს დავუკავშირდი, შეიძლება სხვა მოქცეულიყო სხვანაირად. ვიდექი სტუდენტებს შორის. რაც შეეხება იმ დაზარალებულ სტუდენტს, მე მას გავყევი, რაც კადრებში არ ჩანს და მათთან ერთად ვიყავი მთელი იმ პერიოდის მანძილზე.

არ ვაპირებ კანდიდატურის მოხსნას, ადამიანები დგანან როგორც ერთ, ასევე მეორე მხარესაც. ერთადერთი გამოსავალია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ჩატარება. დემოკრატია ითვალისწინებს 50+1 პრინციპს. აქედან გამომდინარე, თუ გადაწყვეტს და უმრავლესობა უნივერსიტეტში მიიჩნევს, რომ გიორგი გაფრინდაშვილი უნდა იყოს კანცლერი — ვიქნები, თუ არ მიიჩნევს, ბუნებრივია, ვერ ვიქნები“, — აღნიშნა გიორგი გაფრინდაშვილმა.

გიორგი გაფრინდაშვილის პოზიციას აქციის მონაწილეები გამოეხმაურნენ. სტუდენტებმა მასთან შეხვედრაზე უარი განაცხადეს.

„გაფრინდაშვილის კონსტრუქციულობა კარგად გამოჩნდა 2011 წელს, როცა მასთან მივიდა სტუდენტი და სთხოვა დახმარება (ვიდეოში ეს ყოველივე გადაღებულია). რაც შეეხება მის პასუხს, მან ეს ინფორმაცია მოწმეების, კადრების ან სხვა მეთოდით უნდა დაადასტუროს. მე ვერავის ვენდობი სიტყვაზე, განსაკუთრებით ადამიანს, რომლის წარსული და ადამიანობაც ვინმე ივა კავსაძესთან და ვინმე ირაკლი ხარჯავანიძესთან არის კავშირში. თუ გიორგი გაფრინდაშვილი მართლა დამოუკიდებელი, ნეიტრალური და სამართლიანი პიროვნებაა, თუ მის უკან არანაირი კლანური, „ოდეერული“ სისტემა არ არის, როგორც ამას მისი ლობისტები და მხარდამჭერები ამბობენ, მაშინ რატომ არ ხსნის კანდიდატურას?! კანდიდატურას თუ მოხსნის, ეს არ იქნება იმის დასტური, რომ მან ბრალდებები აღიარა, ეს დაადასტურებს მხოლოდ იმას, რომ მან კანდიდატურა სტუდენტების დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად მოხსნა. თუ გიორგი გაფრინდაშვილს სენატის უმრავლესობა მხარს დაუჭერს, იგივე უმრავლესობა დაიწყებს რექტორის იმპიჩმენტის პროცედურას და რექტორი გახდება იურიდიული ფაკულტეტის ცენტრალური ფიგურა. ეს ხმები ტყუილად არ დადის! პაპავას იმპიჩმენტის მოსურნე და გაფრინდაშვილის მხარეს მყოფი ადამიანები მანკიერი, ძალადობრივი, რეპრესიული სისტემის წევრები არიან, რომლებსაც უნივერსიტეტში კონტრ-რევანში სურთ. ეს არ მოხდება! ამას ჩვენ არ დავუშვებთ!“, — აღნიშნა აქციის მონაწილე სტუდენტმა სანდრო ტაბატაძემ.

საპროტესტო აქციაზე მოარულ ხმებს გამოეხმაურა ლევან ლორთქიფანიძე და ჩვენთან საუბარში იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის ინტერესების შესახებ ისაუბრა.

„ირაკლი ბურდულს ორი კურდღლის დაჭერა უნდა — უნდა ჰყავდეს თავისი კანცლერი და თავისი დანიშნული რექტორიც. ეს ჩვენთვის მიუღებელია. აქ პასუხისმგებლობა ყველაფერზე ეკისრება გიორგი გაფრინდაშვილს და არა — რექტორს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს სიმშვიდის შენარჩუნებას. ბურდული ლობირებს, რომ უნივერსიტეტს არ ჰყავდეს რექტორად ლადო პაპავა. მოითმინოს ერთი წელი, იყაროს კენჭი და, თუ რაღაცას წარმოადგენს, შეუძლია თავისი პოზიციების მოხვეჭა. ჩვენც არ ვაპირებთ უკან დახევას, სანამ გიორგი გაფრინდაშვილი კანდიდატურას არ მოხსნის. ჩემი აზრით, სენატი უნდა შედგეს, მაგრამ აქ არიან საერთო კრების წევრები, რომლებიც ამბობენ, რომ არ წავიდე სენატის სხდომაზე და მე ვემორჩილები ამ ადამიანების გადაწყვეტილებას. თუ მოვლენ სენატის წევრები აქ, გამაგრებულ ხალხთან, მათ, რა თქმა უნდა, დაველაპარაკებით. გიორგი გაფრინდაშვილთან კი სტუდენტებს სალაპარაკო არ აქვთ. ჩვენი საერთო კრება პირდაპირ დემოკრატიით იღებს გადაწყვეტილებას და კონკრეტულად რა გადაწყვეტილებას მიიღებენ სენატის სხდომასთან დაკავშირებით, ჯერ ჩემთვის უცნობია“, — განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ.

თსუ-ში საპროტესტო აქციას, სოლიდარობის ნიშნად, ილიაუნის სტუდენტები და მოწვეული პროფესორები შეუერთდნენ. მათი განცხადებით, თსუ-ში სტუდენტების მიერ წამოჭრილი პრობლემა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ არის აქტუალური და ავტონომიის საკითხი, ზოგადად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მნიშვნელოვანი პრობლემაა. აქციის მონაწილეებს სოლიდარობა ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებმაც გამოუცხადეს. მათდამი სოლიდარობა, ასევე, მაღაროელი მუშებისგანაც გახმიანდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართვა და რეაქციები

აქციის მონაწილენი, რომლებიც უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში იყვნენ მობილიზებულნი, ოვაციებით შეხვდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის სატელევიზიო მიმართვას, რომელიც პრემიერმა უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გააკეთა. გთავაზობთ ამ მიმართვის სრულ ტექსტს:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაძაბულობა მატულობს, ახალგაზრდები გამოთქვამენ პროტესტს კანცლერის პოსტზე წარდგენილ კანდიდატურასთან დაკავშირებით.

ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტია უმაღლეს სასწავლებლებში მმართველობის პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ესკალაციის ფონზე გაჩნდა გარკვეული ეჭვები ხელისუფლების მხრიდან პროცესში ჩარევის კუთხით. მინდა, ვთხოვო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ვლადიმერ პაპავას, მაქსიმალურად უზრუნველყოს პროცესის დამოუკიდებლობა და არჩევნების პროცესის გამჭვირვალობა; ასევე, მინდა, ვთხოვო საბჭოს წევრებს, რომლებიც მხარს უჭერენ გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას და თავად გიორგი გაფრინდაშვილს, გაითვალისწინოს არსებული სიტუაცია და, ახალგაზრდებს შორის რაიმე სახის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, საკუთარი კანდიდატურა არჩევნებიდან მოხსნას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენთვის ყველასთვის სათაყვანებელი ინსტიტუტი და ცოდნის ტაძარია. ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენი მხრიდან რაიმე სახის ძალისხმევა დავაკლოთ ახალგაზრდებს შორის დაპირისპირების თავიდან აცილებას“, — აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მიმართვაში.

„პრემიერ-მინისტრმა გააკეთა ძალიან კონსტრუქციული, პასუხისმგებლობით განპირობებული, თანმიმდევრული განცხადება, რისთვისაც მადლობას ვეუბნებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ..ოდეერების“ საკითხს აღარ დავაყენებთ დღის წესრიგში. ამ დემონსტრაციას მართავს საერთო კრება. საერთო კრება ყოველ საღამოს მსჯელობს და საერთო კრების წევრები ამბობენ, რომ „არც ერთი ნაბიჯი უკან!“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლევან ლორთქიფანიძემ.

პრემიერ-მინისტრის განცხადებას გიორგი გაფრინდაშვილი დღის ბოლოს გამოეხმაურა.

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია პრემიერ-მინისტრის განცხადება და ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ქვეყნის მთავრობის მეთაურის აზრს, თუმცა ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩემი არჩევა შესაბამისი იურიდიული პროცედურის დაცვით განხორციელდა აკადემიური საბჭოს მიერ. მიმაჩნია, რომ კონსულტაცია გავიარო იმ ადამიანებთან, რომლებმაც დააფიქსირეს თავისი აზრი და მხარი დამიჭირეს, როგორც კანცლერობის კანდიდატს. აქედან გამომდინარე, ორშაბათს, 14 მარტს შევხვდები აკადემიური საბჭოს წევრებს, რომლებთანაც გავივლი კონსულტაციას და მივიღებ შესაბამის გადაწყვეტილებას“, — აღნიშნა კანცლერობის კანდიდატმა გიორგი გაფრინდაშვილმა.

რაც შეეხება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის შალვა საბაურის პოზიციას, მან აღნიშნა, რომ ისინი მომხრეები არიან — წესდების მიხედვით გაიმართოს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა და იქ გადაწყდეს — გახდება თუ არა გიორგი გაფრინდაშვილი თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. შალვა საბაურმა ასევე აღნიშნა, რომ რექტორს, ასეთ დაძაბულ ვითარებაში, საუბარი არ უნდა დაეწყო „ოდეერების“ ინსტიტუტის შესახებ და სიტუაციის განმუხტვას უნდა დალოდებოდა. მან აქციის მონაწილეთა ნაწილის პარტიულობის საკითხზეც ისაუბრა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებასაც გამოეხმაურა.

„სტუდენტური თვითმმართველობის ტრენინგების დაფინანსების დოკუმენტზე გიორგი გაფრინდაშვილს ხელი არ მოუწერია. თუ ამ ღონისძიების გამო შეიძლება ადამიანს გადადგომისკენ მოუწოდო, მაშინ წინა კანცლერსაც ჰქონდა ხელი მოწერილი და, რეალურად, მისი გადადგომაც უნდა მოეთხოვათ. ჩვენ ვუთხარით აქციის მონაწილეებს, რომ შეგვიძლია ამ პოზიციას გადავხედოთ — არც ერთ ღონისძიებაზე „ჯვარი დაწერილი“ არ გვაქვს. მოგვიანებით, მათი აქციები გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის საწინააღმდეგო ნოტად გადაიქცა და თავისუფალმა სტუდენტობამ დატოვა ეს ტერიტორია. უპასუხისმგებლო ნაბიჯი იყო რექტორის მხრიდან ამ დაძაბულ სიტუაცია-

მე-7 გვერდზე

რატომ მიიჩნევენ „ახალგაზრდა ადვოკატები“ კანცლერის შერჩევის არსებულ პროცესს კანონსაწინააღმდეგო ქმედებად?

კანცლერის შერჩევის პროცედურებმა ისეთი ხმაური გამოიწვია უნივერსიტეტში, რაც დღევანდელი რექტორის არჩევნების დროსაც კი არ ახსოვს საუნივერსიტეტო საზოგადოებას. შეგახსენებთ, რომ აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეულმა კანცლერობის კანდიდატმა იოსებ არჩვაძემ 16 თებერვალს მოხსნა თავისი კანდიდატურა და საქმე მის დამტკიცებამდეც არ მისულა. შემდგომ, აკადემიურმა საბჭომ სხვა კონკურსანტებიდან შერჩეულ კანდიდატს - გიორგი გაფრინდაშვილს უყარა კენჭი და 9 ხმით 5-ის წინააღმდეგ დაასახელა კანცლერად, რომელიც ასევე სენატს უნდა დაემტკიცებინა. აკადემიური საბჭოს მხრიდან კანცლერის შერჩევის პროცედურები გააპროტესტა არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,ახალგაზრდა ადვოკატები“, რომელიც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შესარჩევი კონკურსის მონიტორინგს ახორციელებს. ორგანიზაციამ სპეციალური განცხადება გაავრცელა და უნივერსიტეტის რექტორს და აკადემიურ საბჭოს მოუწოდა, სასწრაფოდ შეჩერებულიყო კანცლერის შერჩევის პროცესი, რომელიც, ამ ორგანიზაციის წევრების აზრით, უკვე გახდა კანონსაწინააღმდეგო და არალეგიტიმური მიღებული გადაწყვეტილებებით.

არჩილ კპიკაციშვილი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ უხეშად დაარღვია კანონი და უნივერსიტეტის წესდება, რითაც დასრულებული კონკურსის ფარგლებში უპირატესობა არამართლზომიერად მიანიჭა კანცლერობის პრეტენდენტს. ორგანიზაცია განმარტავს, რომ თსუ-ში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) შერჩევისთვის გამოცხადებული კონკურსი დასრულდა იმწუთიერად, როდესაც აკადემიურმა საბჭომ მოახდინა კანცლერობის პრეტენდენტებიდან ერთის გამოვლენა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის დასამტკიცებლად შეთავაზება. ,,მას შემდეგ, რაც 16 თებერვალს, შერჩეულმა კანდიდატმა იოსებ არჩვაძემ პირადი განცხადების საფუძველზე წარდგენაზე უარი განაცხადა, ავტომატურად დადგა კანცლერის შერჩევისთვის ახალი კონკურსის გამოცხადების საჭიროება. შესაბამისად, არც თსუ-ის რექტორს და არც აკადემიურ საბჭოს უფლება არ გააჩნდათ, რაიმე ფორმით ემსჯელათ და უპირატესობა მიენიჭებინათ კანცლერობის ყოფილი კანდიდატებისთვის. აკადემიურმა საბჭომ 27 იანვარს იმსჯელა და შეარჩია კიდეც შესაბამისი კანდიდატი, რაც პირდაპირ გამორიცხავს იმავე კონკურსის ფარგლებში სხვა კანდიდატურის სენატისთვის შეთავაზებას და განმეორებით კენჭისყრას“, — ნათქვამია განცხადებაში. ამასთან, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ აკადემიურმა საბჭომ დაარღვია ის კონკრეტული ვადებიც, როდესაც 2016 წლის 5 თებერვლისთვის არ მოუხდენია კანცლერობის პრეტენდენტის გამოვლენა და წარდგენა სენატისთვის.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიუთითებს, რომ მიღებული გადაწყვეტილებებით დარღვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. ,,აღნიშნული სამართლებრივი რეგულაციები პირდაპირ მიუთითებენ, რომ ერთი კონკურსის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს სიითი უმრავლესობის მიერ შერჩეული კანდიდატი დასამტკიცებლად წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს. შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონსაწინააღმდეგო და არალეგიტიმურია, რაც პირველ ქართულ უნივერსიტეტში, კანცლერის შერჩევის კონკურსთან დაკავშირებით, არაერთ გაუცემელ კითხვას ბადებს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის პასუხი „ახალგაზრდა ადვოკატებს“ კანცლერის შესარჩევი კონკურსის თაობაზე

„ახალგაზრდა ადვოკატების“ პრესკონფერენციას, სადაც თსუ-ის კანცლერის კონკურსის არალეგიტიმურობისა და შესარჩევი პროცესის შეჩერების მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტი სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის 109/2015 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის (მასთან დაკავშირებული სავალდებულო პროცედურების) ფარგლებში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატის შესარჩევად აკადემიურმა საბჭომ განახორციელა ის სამართლებრივი მოქმედებები, რაც აუცილებელია კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების თანახმად, აკადემიური საბჭო „წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას“, აკადემიური საბჭო „წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში“. შესაბამისად, აკადემიურმა საბჭომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნისა და მის მიერ დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით, შეარჩია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა (იოსებ არჩვაძე) და წარუდგინა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად („სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 27 იანვრის 8/2016 დადგენილება).

წარმომადგენლობითმა საბჭომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის განხილვისა და კენჭისყრის დღედ განსაზღვრა 2016 წლის 17 თებერვალი. 2016 წლის 16 თებერვალს იოსებ არჩვაძემ უნივერსიტეტში წარმოადგინა განცხადება თავისი კანდიდატურის კონკურსიდან მოხსნის შესახებ (რეგისტრაციის ნომერი №5077/02). აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიქმნა რა ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც თავისი ბუნებით გაუტოლდა იმ ვითარებას, თითქოს აკადემიურმა საბჭომ ვერ უზრუნველყო წარმომადგენლობითი საბჭოსათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატის წარდგენა, აკადემიური საბჭო დადგა ზემოთ დასახელებული რეგულაციებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესრულების აუცილებლობის წინაშე. ამასთან, შეიქმნა იმის რისკი, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევისა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენის (მის მიერ კანდიდატის დამტკიცების მიზნით) პროცესი ხანგრძლივი ვადით შეიძლებოდა გაჭიანურებულიყო, თუ აკადემიური საბჭო შექმნილ ვითარებაში სწრაფ რეაგირებას არ მოახდენდა სიტუაციიდან გამოსავლის მოსაძიებლად და საკითხის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად. გათვალისწინებული იქნა ის მნიშვნელოვანი ფაქტორიც, თუ რამდენად მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინსტიტუტი უნივერსიტეტისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი მიზნებისა და ინტერესების უზრუნველსაყოფად და, შესაბამისად, რამდენად მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით, შესაბამისი კანდიდატის დროული გამოვლენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის დასამტკიცებლად მის წარსადგენად.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის არსი და მიზანი. რამდენად იმპერატიულია მისი მოთხოვნა. მითითებული დანაწესი აკადემიურ საბჭოს ავალდებულებს — ჩაატაროს კონკურსი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შესარჩევად, შემდგომ ამ კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარსადგენად წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ხსენებული კანდიდატურის განხილვისა და დამტკიცების მიზნით. ასევე, საყურადღებოა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომელშიც მითითებულია, რომ წარმომადგენლობითი საბჭო „ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით“.

როგორც ნორმათა ანალიზი მიუთითებს, აკადემიური საბჭოს ვალდებულებაა — იმოქმედოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად; მას არ აქვს იმის დისკრეცია, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის პროცესი არ დაასრულოს და დროში გააჭიანუროს სხვადასხვა საფუძვლით. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ის არ არის შეზღუდული იმ შესაძლებლობით, რომ ასეთი კანდიდატის შერჩევის მიზნით, კიდევ ერთხელ/ხელახლა იმსჯელოს თითოეულ კანდიდატზე აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის 109/2015 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე დარეგისტრირებულ პრეტენდენტთა წრიდან, მათგან შეარჩიოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა და წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პირველი კენჭისყრისას აშკარად გამოვლინდა ორი საუკეთესო შედეგის მქონე პრეტენდენტი (აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 იანვრის №3 სხდომის ოქმი). მოქმედი კანონმდებლობა და აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი რეგულაციები არ შეიცავს ისეთ დანაწესს, რომელიც აკადემიურ საბჭოს შეუზღუდავდა დასახელებულ ნორმათა მითითებული ნორმატიული შინაარსით წაკითხვის შესაძლებლობას იმ პირობებში, როდესაც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე (წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენილი კანდიდატის მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნა), ფაქტობრივად შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ თითქოს აკადემიურმა საბჭომ კენჭისყრა/კანდიდატის შერჩევა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის კანდიდატის წარდგენა ვერ მოახდინა, ანუ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატი ვერ გამოავლინა. ეს გარემოება წარმოშობს ხელახალი კენჭისყრის ჩატარების შესაძლებლობას, ანუ დარჩენილ კანდიდატებს შორის კენჭისყრის ხელახლა ჩატარებას. შესაბამისად, ყველა ამ კანდიდატს, მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით, ხელახლა ეყარა კენჭი და გამოვლინდა ერთი გამარჯვებული კანდიდატი (აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის სხდომის №6 ოქმი). ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხელახლა კენჭისყრის ჩატარება დარჩენილ კანდიდატებს შორის არ არის უცხო მოქმედი კანონმდებლობისთვის (მაგალითად, საარჩევნო კოდექსის მე-12 მუხლის მე-10 ნაწილი ითვალისწინებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის ისეთ წესს, როცა, თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ვაკანსია, დარჩენილ კანდიდატებს კენჭი ეყრება ხელახლა, თუ ვაკანსია ისევ არ შეივსო, იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. თუ ვაკანსია ისევ შეუვსებელი დარჩა, მაშინ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კონკურსში მონაწილე სხვა კანდიდატებისაგან თითოეულ დარჩენილ ვაკანსიაზე ამ კოდექსით გათვალისწინებული რაოდენობის კანდიდატს, თუ ვაკანსია ამ შემთხვევაშიც შეუვსებელი დარჩა, მხოლოდ ამის შემდეგ ცხადდება დარჩენილ ვაკანსიაზე კონკურსი და კანდიდატურების წარდგენის პროცედურა თავიდან იწყება).

11 მარტის აქცია

მეხუთე გვერდიდან

ში „ოდეერების“ ინსტიტუტზე საუბარი. თუ სამი წელია ეს ინსტიტუტი მოქმედებს თსუ-ში, აქამდე სად იყვნენ? ახლა, დაეცადათ ერთი კვირა მაინც, დაძაბულობა შენელებულიყო... აქ შეხლა-შემოხლა რომ არ ხდება, სტუდენტური თვითმმართველობის დამსახურებაა. მაქსიმალურად ვიკავებთ თავს, რომ პროვოკაციას არ ავყვეთ, მცდელობა კი უამრავი იყო. რექტორის კაბინეტის კარებზე წიხლების რტყმა მშვიდობიანი აქცია ნამდვილად არ მგონია.

შალვა საბაური

ამ აქციაში ბევრი ჩემი მეგობარიც მონაწილეობს, რომლებსაც სხვადასხვა პარტიული ინტერესები აქვთ, პარტიულობა დანაშაული არ არის, მაგრამ ვიწრო პარტიული ნიშნით აქ დგომა ნამდვილად არის სიტუაციის ესკალაციის მცდელობა. ილიას უნივერსიტეტის 20-25 ადამიანი რომ შემოუერთდა აქციას, დიდი საზოგადოების სახელით რა უფლებით საუბრობენ — არ მესმის. აქციაზე მაქსიმუმ 200 კაცია შეკრებილი, აქედან უმრავლესობა თსუ-ის სტუდენტი არ არის. თანაც, პრემიერ-მინისტრი რომ მოუწოდებს თსუ-ის კანცლერობის კანდიდატს კანდიდატურის მოხსნისკენ, საერთოდ რა ლოგიკაში სვამენ — არ მესმის. ვფიქრობ, ეს პროცესი სამართლებრივ ნორმებში უნდა მოექცეს. სენატში არის ყველა ფაკულტეტის წარმომადგენელი — პროფესურა და სტუდენტები. მათი გადასაწყვეტია — მიანიჭებენ თუ არა გიორგი გაფრინდაშვილს უფლებამოსილებას. ჭეშმარიტებაზე მონოპოლია მხოლოდ 200 კაცს არ აქვს. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, სენატის სხდომაზე დავაფიქსირებ “, — აღნიშნა შალვა საბაურმა.

ვინ აშანტაჟებს რექტორს?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის და სენატის წევრის ლევან ლორთქიფანიძის ინფორმაციით, აკადემიური საბჭოს და სენატის წევრები თსუ-ის რექტორს ლადო პაპავას აშანტაჟებენ და ემუქრებიან.

როგორც ლევან ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სენატისა და აკადემიური საბჭოს წევრებს, რომლებიც გაფრინდაშვილს უჭერენ მხარს, სურთ, რომ უნივერსიტეტში მოხდეს ვადამდელი არჩევნები და რექტორი შეიცვალოს.

„აშანტაჟებენ რექტორს და გადაყენებით ემუქრებიან. ბატონი რექტორი რბილი პოზიციის მქონე ადამიანია. სენატისა და აკადემიური საბჭოს წევრებს, რომლებიც გაფრინდაშვილს უჭერენ მხარს, სურთ რომ გაიყვანონ გაფრინდაშვილი და ჰყავდეთ თავისი რექტორიც. ამბობენ, რომ ეს უნდა იყოს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის მიერ მირონცხებული კადრი. თუ ვინ არის, ამაზე ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს. არ დავუშვებთ, რომ კანცელარად გიორგი გაფრინდაშვილი დაინიშნოს და ჩატარდეს რექტორის ვადამდელი არჩევნები“, — განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ.

მისივე ინფორმაციით, სენატში 42 ადამიანია, აქედან 14 სტუდენტია, 14 სტუდენტიდან კი 12 წარმოადგენს ყოფილ „ერთიან სტუდენტთა მოძრაობას“ და ამჟამად სტუდენტურ თვითმმართველობას. ლევან ლორთქიფანიძის ინფორმაციით, სენატის წევრების 1/3 იზიარებს აქციის მონაწილე სტუდენტების პოზიციას და ეწინააღმდეგება გაფრინდაშვილის კანდიდატურას.

რა პასუხისმგებლობას აკისრებენ რექტორს?

სტუდენტური თვითმმართველობის ვიცეპრეზიდენტი 12 მარტს ფეისბუქ-გვერდზე ასეთ განცხადებას ავრცელებს: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საფრთხის ქვეშ. მიდის ძალიან მძიმე ზეწოლა და ადამიანების დემორალიზება, მათ შორის ჩემიც. ამ ყველაფრის მიზეზი და შემოქმედი კი არის პირველ რიგში უნივერსიტეტის რექტორი, რომელმაც თავისი უმოქმედობით ვერ აარიდა თავიდან უნივერსიტეტს ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს იმყოფება. რექტორი, რომელმაც 3 წელი ითანამშრომლა ოდეერთან და ეს გაამხილა მხოლოდ მაშინ, როდესაც დასჭირდა კონკრეტული ადამიანის დემორალიზებისათვის. ასევე იყენებს იგი გარკვეულ სტუდენტთა ჯგუფს, რომლებსაც შეცდომაში შეჰყავთ სხვა გულწრფელი სტუდენტები და ოდეერის თემით შეფუთული პროტესტით დემორალიზებას უკეთებენ კანცლერობის კანდიდატს, რომლის ერთადერთი ნაკლი არის ის, რომ რექტორს არ მოსწონს — არ იქნება რექტორის „მონა“. სტუდენტები, რომლებსაც აქვთ პროტესტი ოდეერის არსებობის შესახებ, არიან გამოყენებულნი სხვა მიზნებისათვის. მინდა ამ სტუდენტებს ვუთხრა: იმ პროტესტის მიზანი, რასაც დღეს თქვენ გაუცნობიერებლად ემსახურებით, არ არის ოდეერის საკითხი და ამის გამოა, რომ დღეს თქვენს გვერდით არ ვარ. როგორც კი გააცნობიერებთ, რომ ემსახურებით კონკრეტული ჯგუფის და ერთპიროვნული მმართველობის მსურველი ადამიანის ინტერესებს და თქვენი პროტესტი გადავა იმ რელსებზე, რომელზეც უნდა იდგეს (ვგულისხმობ ოდეერების საკითხს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში), მაშინვე შემოგიერთდებით. რაც შეეხება კანცლერის საკითხს, არ აქვს მნიშვნელობა არჩეული იქნება თუ არ იქნება დღევანდელი კანდიდატი, უბრალოდ მივცეთ საშუალება ამ რკინის ადამიანს, რომ გავიდეს სენატის წინაშე. არა ჩარევას სახელმწიფოს მხრიდან! არა უნივერსიტეტის ავტონომიის რღვევას! არა რექტორის ერთპიროვნულ მმართველობას! არა სტუდენტების მოტყუებას!

პაატა ბახტურიძე

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

პასუხისმგებლობას, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, არ გავურბივარ!

ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან, აკადემიკოს ლადო პაპავასთან

— ბატონო ლადო, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად უნივერსიტეტში პოლიციის შემოსვლას აპროტესტებენ სტუდენტები, რასაც ზოგიერთმა პროფესორ-მასწავლებელმაც მხარი დაუჭირა. თქვენ მოუწოდეთ პატრულის თანამშრომლებს, რომ დაეტოვებინათ შენობა. ვინ „დაპატიჟა“ პოლიცია უნივერსიტეტში?

— ნამდვილად არ მაქვს ეს ინფორმაცია. საერთოდ, მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ გარე პერიმეტრზე და არა უნივერსიტეტში, თუნდაც ეზოში შეიძლება ყოფილიყვნენ პოლიციელები, რათა რაიმე ექსცესი არ მომხდარიყო. ეს არის ჩვეულებრივი უსაფრთხოების დაცვის ზომები, მაგრამ მათი მობილიზება უნივერსიტეტის ეზოში და მით უფრო უნივერსიტეტის შენობაში არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა შეთანხმებული. ხოლო როგორ მოხდა მათი აქ შემოსვლა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. თქვენ ნახეთ, რა რეაქცია ჰქონდათ ჩვენს პროფესორებს, როდესაც პოლიციამ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა, რექტორატის დერეფანი დაიკავა. ეს იყო სავსებით ჯანსაღი რეაქცია, რომ პოლიციის გაჩერება უნივერსიტეტში არ შეიძლებოდა და რექტორის ადგილიც სწორედ იქ იყო, სადაც იდგნენ უნივერსიტეტის პროფესორები.

— კანცლერობის პირველ კანდიდატს სოსო არჩვაძეს ვინ აუგორა საინფორმაციო კამპანია, რის შემდეგაც მან მოხსნა თავისი კანდიდატურა? სტუდენტური თვითმმართველობის წევრები იღებდნენ ამაში მონაწილეობას?

— ვერავის დავაბრალებ — ვინ აუგორა არჩვაძეს კამპანია, მაგრამ, სინამდვილეში, არჩვაძის წინააღმდეგ რომ ბინძური კამპანია აგორდა, ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცმა არა ერთი ღირსეული განცხადება გააკეთა, კაცს, რომელმაც სახლ-კარი დაკარგა სოხუმში და არის იძულებით გადაადგილებული პირი, ლამის რუსეთის აგენტობა დასწამეს.

— პროტესტანტები, რომლებიც აქციებზე კანცლერობის მეორედ შერჩეული კანდიდატისგან გიორგი გაფრინდაშვილისგან კანდიდატურის მოხსნას ითხოვენ, გაფრინდაშვილს ბრალს დებენ, რომ წარსულში სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების მხრიდან სტუდენტების ცემის ფაქტებს ხელს აფარებდა. დღევანდელი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბრალდებას დადასტურება უნდა. წარსულის გამო, ზოგადად, უნდა აგოს თუ არა პასუხი გიორგი გაფრინდაშვილმა?

— საერთოდ, მომხრე ვარ უდანაშაულობის პრეზუმფციის, მაგრამ არის მომენტი, როდესაც ადამიანი მიდის მაღალ საჯარო თანამდებობაზე (და უნივერსიტეტის კანცლერობა საკმაოდ მაღალი თანამდებობაა), დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონსესუსი მაქსიმალურად იქნას მიღწეული უნივერსიტეტის ყველა ძალას შორის და არ იყოს განხეთქილება. ამიტომ ერთია — რა დაუმტკიცდება და რა არა ბატონ გიორგი გაფრინდაშვილს და მეორეა — მისი კანდიდატურა როგორ აღიქმება საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ.

— საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ ივა კავსაძე არ არის „ოდეერი“, თქვენ კი საპირისპიროს აცხადებთ...

— მე დავეთანხმე სტუდენტებს, რადგან მთელმა უნივერსიტეტმა იცის — სტუდენტებიდან დაწყებული პროფესორებით დამთავრებული ამის შესახებ. როცა სტუდენტები ამას საჯაროდ აცხადებენ და იქ დამსწრემ, თითქმის ყველამ იცის ეს ამბავი, რა? ტყუილი უნდა მეთქვა? იგი არის კანცლერის თანაშემწე, რომელიც ჩემი რექტორობის პერიოდში დაინიშნა.

— იგი „ოდეერის” წარმომადგენელი იყო თქვენამდეც?

— ბატონი ჩომახიძის თანაშემწე ყოველთვის იყო ერთი პირი, მაგრამ კონკრეტულად რა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ამას ვერ ვიტყვი. რაც შეეხება კონკრეტულ პიროვნებას, რომელზედაც იყო საჯაროდ ნათქვამი და ეს იცოდა, რეალურად, მთელმა საუნივერსიტეტო საზოგადოებამ, მასზე გავრცელებული ინფორმაცია ფაქტია. რექტორი ვერ იტყოდა ტყუილს.

— არსებობს ასეთი აზრი, რომ რექტორმა თავის დროზე რატომ არ განაცხადა „ოდეერის” შესახებ და რატომ დაუკავშირა ამის აღიარება გაფრინდაშვილის კანდიდატურის მოხსნა-არმოხსნის საკითხს?

— „ოდეერის” საკითხი ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც გართულდა და გამწვავდა ვითარება. როდესაც მთელი უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა ამ თემაზე დაიწყეს კონკრეტულად საუბარი, მაშინ მომიწია მეც ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. მე სხვა პირებზეც დამისვეს შეკითხვა — არიან თუ არა ისინი „ოდეერები”, მაგრამ არც ერთ მათგანზე რაიმე ინფორმაცია არ მაქვს.

— რატომ არ ჰქონდა რეაგირება რექტორს, თუკი იცოდა, რომ უნივერსიტეტში „ოდეერი” იყო? — ასე სვამენ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები კითხვას...

— აქამდე მისი საქმიანობა არ იყო გასაჯაროებული და იგი არ მონაწილეობდა საუნივერსიტეტო საკითხების გადაწყვეტაში. ხოლო, როდესაც მთელმა უნივერსიტეტმა დაიწყო მასზე საუბარი, ბუნებრივია, ვერც რექტორი გაჩუმდებოდა ამ თემაზე.

— რატომ დადის მოარული ხმები მოცემულ სიტუაციაში რექტორის იმპიჩმენტის თემაზე?

— ეს საუბრები დაიწყო სხვაგვარად: რომ, რადგან რექტორი ვერ არეგულირებს საკითხებს, ამიტომ მოეწყოს რექტორის იმპიჩმენტი.

— ეს შეესაბამება სინამდვილეს?

— ეს ხმები ჩემამდეც მოვიდა, თუმცა ოფიციალურად პროცესი არ არის დაწყებული.

— მაგრამ გაქვთ ვარაუდი, რომ ამ თემაზე დაიწყება საუბარი, თუნდაც აკადემიურ საბჭოში?

— ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით.

— აკადემიური საბჭო თუ წამოწევს ამ საკითხს? — ამაზეა საუბარი...

— რექტორის იმპიჩმენტის საკითხი — ეს არის აკადემიური საბჭოს პრეროგატივა და აკადემიური საბჭოს შემადგენლობის ერთ მესამედს შეუძლია დააყენოს რექტორის იმპიჩმენტის საკითხი, ანუ ამისთვის საჭიროა 5 ხმა. მაგრამ ამაზე დღეს ვერაფერს ვიტყვი მკაფიოდ, რადგანაც ოფიციალურად ეს პროცედურა არ დაწყებულა.

— ეს საკითხი გარკვეულ არეულობასაც შემოიტანს უნივერსიტეტში...

— ვფიქრობ, რომ იმპიჩმენტი რომ გატარდეს, უნივერსიტეტი კიდევ უფრო სერიოზულად დაზარალდება. თავადაც შემიძლია მივიღო ობიექტური გადაწყვეტილება — თუ ეს არ შეუშლის ხელს უნივერსიტეტს და არ გააფუჭებს საერთო საქმეს, რასაც უნივერსიტეტის იდეა ჰქვია.

— თქვენი აზრით, რას ნიშნავს, რომ აქციების ფონზე უნივერსიტეტში შექმნილ ვითარებაზე მთელი პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათ? — ამაზე კვლავ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები საუბრობენ...

— პასუხისმგებლობას ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, რა თქმა უნდა, არ გავურბივარ... რექტორი ვარ და მზად ვარ, თითოეულ კითხვას გავცე პასუხი.

ესაუბრა ნინო კაკულია

თამარ სანიკიძე თსუ-ში აქციის მონაწილე სტუდენტებს შეხვდა

მინისტრის დაპირებები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საპროტესტო აქციის მონაწილე სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე. სტუდენტების კითხვები უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან ერთად განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს შეეხო. საუბრის თემა იყო ე.წ. „ოდეერების“ არსებობა განათლების სისტემაში და სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმირების საკითხი. როგორც მინისტრმა აღნიშნა, უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს შიდა მოკვლევა და შესაბამისი მასალები რეაგირებისთვის გადასცეს პროკურატურას. „ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და საგანგაშო იმიტომ, რომ განათლების სისტემაში, მით უმეტეს, უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ოდეერს არაფერი არ ესაქმება. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მივმართოთ პარლამენტსაც, რათა შეიქმნას საგამოძიებო კომისია და გამოიძიოს ეს ამბავი, მაგრამ ამავდროულად მოკვლევა უნივერსიტეტშიც უნდა დაიწყოს“, - განაცხადა სანიკიძემ.

სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ მინისტრი უნივერსიტეტის რექტორს ვლადიმერ პაპავას შეხვდა. როგორც რექტორმა აღნიშნა, „განათლების მინისტრმა ილაპარაკა ამ შეხვედრის შესახებ და ძალიან მოკლედ მიმოიხილა ჩემთან ის საკითხები, რაზეც იყო საუბარი. კონკრეტულად ის ორ საკითხს შეეხო. მათ შორის, „ოდეერის“ გამოძიების საკითხს და ასევე სტუდენტური თვითმმართველობის ახალ მოდელს — როგორი უნდა იყოს ეს ახალი მოდელი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს. კონკრეტულად ამ ცვლილებებზე მას არ უსაუბრია, თუმცა ისაუბრა იმაზე, რომ სტუდენტებთან ერთად სამინისტრო მზად არის ამ საკითხზე იმუშაოს“. რექტორის განცხადებით, ორშაბათს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყება მოკვლევა ე.წ. „ოდეერის“ ინსტიტუტთან დაკავშირებით, შესაბამის დავალებას უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახური დაიწყებს და მოკვლევა დოკუმენტურად იქნება წარმოებული.

მოამზადა თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა

14 მარტის ორი აქცია და აქციებს შორის მობილიზებული უნივერსიტეტის თანამშრომლები

დილის 11 საათი და 20 წუთი.

ამ დროისთვის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კიბეები მთლიანად ჰქონდათ დაკავებული პროტესტანტ სტუდენტებს, რომლებსაც ხელთ ეჭირათ ლოზუნგები: „5 კაცი და გავდივართ!“, „პრობლემა სისტემურია!“ „კონფორმიზმი სტაგნაციაა!“, „არა მოძალადე კანცლერს“, „ილიაუნის სოლიდარობა თსუ-ს!“ „პრობლემებს ვერ დამალავთ!“, „სამხატვრო აკადემიის სტუდენტების სოლიდარობა!“, „სოლიდარობა თსუ-ის სტუდენტებს!“, „ავტონომია უნივერსიტეტს!“, „სტუდენტები აკადემიური თავისუფლებისთვის!“, „ბაკურიანი ჩვენი იერუსალიმია!“, „ძალადობის დაფარვა დანაშაულია!“, „ბრძოლა ცვლილებებისთვის თავისთავად არის ცვლილება“. მოპირდაპირე მხარეს კი გაშლილი იყო პლაკატი: „უნივერსიტეტს გახლეჩა სტკივა, რექტორო“.

აქციის დაწყებამდე მედიასთან პირველი კომენტარი გააკეთა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, რომელმაც განაცხადა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს სტუდენტებს შორის დაპირისპირების თავიდან ასარიდებლად. „სიტუაციის გამწვავება უნდა გამოირიცხოს. მე შევხვდი ორივე ჯგუფს და ყველას ვთხოვე, რომ თავი შეიკავონ. დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტი ორივე ჯგუფის წარმომადგენლებს უყვართ და თვითონვე არ დაუშვებენ რაიმე სახის პროვოკაციას. ვფიქრობ, რომ, როცა უნივერსიტეტში არის აზრის თავისუფალი გამოხატვა, ეს არის სავსებით ნორმალური პროცესი, მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს ესკალაციას და ისეთ პროცესს, რაც უნივერსიტეტს ძალიან დააზარალებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უნივერსიტეტი არ უნდა ამოვარდეს სამართლებრივი ჩარჩოდან. იმ შემთხვევაში, თუ გიორგი გაფრინდაშვილი აკადემიური საბჭოსთან შეხვედრის მერე არ მოხსნის თავის კანდიდატურას, ერთადერთი გზა, რაც დარჩენილი იქნება, ესაა სენატის სხდომის ჩატარება, როგორც არის გაწერილი კანონით და წესით. რაც შეეხება „ოდეერების“ შესახებ გამოძიებას, მე დღეს დილით შიდა აუდიტს მივეცი განკარგულება მოკვლევისათვის“, — განაცხადა მან და დასძინა, რომ უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური მთლიანად მობილიზებულია ექსცესების თავიდან ასაცილებლად.

აქციის — „ავტონომია უნივერსიტეტს!“ — დასაწყისში სტუდენტების მხრიდან გაკეთდა განცხადება: თვითმმართველობის აქციამ გადაინაცვლოს უნივერსიტეტის შიდა ეზოში, რომ არ მოხდეს დაპირისპირება. მათი არგუმენტი იყო ის, რომ აქცია „ავტონომია უნივერსიტეტს!“ უფრო ადრე იყო დაანონსებული: „ჩვენ აქ ვართ 4-5 დღის განმავლობაში, ვუვლით და ვასუფთავებთ უნივერსიტეტს, ვმსჯელობთ პრობლემებზე, რომელიც უნივერსიტეტშია. ჩვენ რამდენიმე დღით ადრე დავაანონსეთ დღევანდელი აქცია. თვითმმართველობის კონტრაქციით კი, რომელიც ამავე ადგილზე და დროს დაინიშნა, აჩენს იმის საშიშროებას, რომ მოხდეს პროვოკაცია სტუდენტების ერთმანეთთან დასაპირისპირებლად!“ — განაცხადა ერთ-ერთმა გამომსვლელმა.

აქციის მონაწილეებს მიმართა ლიდერმა ლევან ლორთქიფანიძემ. მან მოუწოდა თვითმმართველობის წევრებს, დაიცვან უსაფრთხოება და არ მოხდეს დაპირისპირება: „იმ სტუდენტებს, რომლებიც დაცვის კორდონის მიღმა არიან, უნდა გავუგზავნოთ ჩვენი მთავარი მესიჯი: ყველამ ერთად დავიცვათ სამოქალაქო მშვიდობა, რადგან ის, რაც აქ შეიძლება მოხდეს, არ არის მხოლოდ უნივერსიტეტის საქმე. მას გავლენა აქვს მთელ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. შესაბამისად, ყველა ჩვენი მოქმედება და ნაბიჯი მიმართული იქნება ძალიან ხმაურიანი და რადიკალური პროტესტისკენ, მაგრამ არ დავუშვებთ სამოქალაქო მშვიდობის დარღვევას“, — განაცხადა მან და აღნიშნა, რომ ტარას შევჩენკოს სკვერში უცხო ხალხია შეკრებილი, რომლებმაც უნდა განაცხადონ, ვინ არიან და რას ელოდებიან.

აქციის — „ავტონომია უნივერსიტეტს!“ — მონაწილეებს ადგილებზე აქციებით შეუერთდნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები ბათუმში, ქუთაისში და თბილისში. აქციას შემოუერთდნენ რკინიგზელები და მუშები ტყიბულიდან და ქსანიდან.

დაახლოებით 12 საათზე უნივერსიტეტის ეზოში განთავსდნენ თსუ-ის თვითმმართველობის წევრები და მათი მომხრეები. მათ დააყენეს რექტორის პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან, მათი აზრით, რექტორმა იცოდა უნივერსიტეტში „ოდეერის“ არსებობის შესახებ და სამი წლის განმავლობაში დუმდა. მათ „ოდეერის“ ინსტიტუტის არსებობას უნივერსიტეტში პროტესტი გამოუცხადეს.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მთავარია, უნივერსიტეტი სამართლებრივი ჩარჩოდან არ გამოვიდეს და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება კანონის და წესდების სრული დაცვით: „უნივერსიტეტი უნდა იყოს დამოუკიდებელი. ყველა ძალა, რომელიც შეიძლება თეორიულად ცდილობდეს სიტუაციის ესკალაციას, უნდა გაიმიჯნოს უნივერსიტეტიდან. უნივერსიტეტი საკუთარ პრობლემებს თავად მოაგვარებს კანონმდებლობის და წესდების სრული დაცვით. ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა, რომ დავრჩეთ სამართლებრივ ჩარჩოებში. ეს არის რექტორის, ადმინისტრაციის და დეკანების მოთხოვნა და, შესაბამისად, ჩვენ ყველა ერთად სწორედ შუაში ვდგავართ, რომ თავიდან ავიცილოთ დაპირისპირება. ყველა პრობლემის მოგვარების წინაპირობა არის კონსესუსი. ამ სტუდენტებს თითქმის ერთი და იგივე მოთხოვნა ამოძრავებს – ეს არის უნივერსიტეტის ევოლუცია, განვითარება, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ამაში ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ. დღეს გაფრინდაშვილი ხვდება აკადემიური საბჭოს წევრებს და თუკი ისინი ურჩევენ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მოხსნას კანდიდატურა, როგორც გიორგიმ თქვა, ამას დაემორჩილება. სიტუაციის დეესკალაციის

მე-9 გვერდზე

14 მარტის ორი აქცია და აქციებს შორის მოგილიზებული უნივერსიტეტის თანამშრომლები

მერვე გვერდიდან

მიზნით, მეც ვურჩევდი მას, რომ მოეხსნა კანდიდატურა, მაგრამ ეს არის მხოლოდ გიორგი გაფრინდაშვილის გადასაწყვეტი“. ირაკლი ბურდულის გამოსვლას 7-14 მარტის აქციების მონაწილე სტუდენტებისგან მოჰყვა შეძახილები: „ბურდული ვერ გახდება რექტორი!“

კონტრ-აქციაზე თვითმმართველობიდან პირველი განცხადება გააკეთა შალვა საბაურმა, რომელმაც აქციის — „ავტონომია უნივერსიტეტს!“ - წევრებს მიმართა, რომ თვითმმართველობა პირველ ნაბიჯს დგამს დაპირისპირებულ მხარესთან დასაახლოებლად: „ჩვენ ვდგამთ კომპრომისულ ნაბიჯს: პირველი — ხვალიდან თვითმმართველობა აღარასოდეს ჩაატარებს ღონისძიებას, რომელშიც მხოლოდ თვითმმართველობის წევრები მიიღებენ მონაწილეობას; მეორე — დავსხდეთ და ე.წ. „ოდეერის“ საკითხზე ერთად მოვილაპარაკოთ, როგორ მოვუაროთ ამ პრობლემას. კომპრომისების გარეშე უნივერსიტეტში საქმე არ გაკეთდება და უნივერსიტეტი ვერც წინ წავა. უნდა ვთქვა, რომ ეს პრობლემა არის უნიათო რექტორატის ბრალი“, — განაცხადა მან.

პირველი კორპუსის ეზოში გამართულ სტუდენტური მოძრაობის აქციასა და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საპროტესტო აქციას ერთმანეთისგან საპატრულო პოლიციისგან შემდგარი ცოცხალი ჯაჭვი ჰყოფდა. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა ორივე აქციის ორგანიზატორების მოწოდებები. ორად გაყოფილ სტუდენტებს მხოლოდ ერთი საერთო მოთხოვნა ჰქონდათ – „არა „ოდეერის“ სისტემას უნივერსიტეტში!“

„კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩვენს ძირითად მოთხოვნებს! ჩვენ ვითხოვთ მოძალადე კანდიდატისგან თავისი კანდიდატურის მოხსნას, ჩვენ ვითხოვთ იმას, რომ უნივერსიტეტის კანცლერი ცენზორი არ იყოს. ჩვენ ვითხოვთ, რომ ეს კლანი, ეს კომკავშირული კლანი ერთხელ და სამუდამოდ გარდაიქმნას და რეალური წარმომადგენლობითი ორგანო გახდეს. დარწმუნებული ვარ, საქართველოში „ოდეერის“ სისტემის ნგრევა იწყება უნივერსიტეტიდან“, — მიმართა აქციაზე შეკრებილ სტუდენტებს ლევან ლორთქიფანიძემ.

„ჩვენ უკვე ოთხი დღეა გამაგრებულები ვართ უნივერსიტეტში. დაახლოებით სამი დღის წინ დავაანონსეთ აქცია პირველ კორპუსთან, შესაბამისად, თვითმმართველობის აქცია, რომელიც მათ დაგეგმეს პროვოკაციის მიზნით, არის სრულიად გაუმართლებელი. ჩვენი აზრით, ეს არის უნივერსიტეტის კიდევ უფრო მეტად დესტაბილიზაციისკენ მიზანმიმართული მცდელობა, ამიტომ მათ უნდა დატოვონ პირველი კორპუსი და მოგვცეს მშვიდობიანი აქციის ჩატარების საშუალება, ან ჩვენს გვერდით დადგნენ და პრივილეგიებზე უარი თქვან. ჩვენ არ დავიშლებით, ვიდრე ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდება, ესენია: „ოდეერის“ სისტემის ნგრევა, გიორგი გაფრინდაშვილის მხრიდან კანდიდატურის მოხსნა და თვითმმართველობის პრივილეგიებზე უარის თქმა!“, — განაცხადა სტუდენტური მოძრაობის აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნათია ქარჩილაძემ.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრები არ ადასტურებდნენ, რომ მათ საპროტესტო აქცია პროვოკაციის მიზნით დაგეგმეს. მათი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო სტუდენტური მოძრაობის აქციის ჩატარების ადგილი, დრო დაზუსტებული არ ყოფილა და მათ, როგორც ლეგიტიმაციის მქონე ორგანოს, საკუთარი მოთხოვნების აქციაზე გამოხატვის სრული უფლება ჰქონდათ: „მათ საათი არ დაუანონსებიათ. ჩვენ უკვე გავრცელებული გვქონდა ინფორმაცია, რომ პირველ საათზე ვატარებდით საპროტესტო აქციას, როდესაც მათ დრო დანიშნეს. რაც შეეხება ორი აქციის ერთსა და იმავე ადგილზე ჩატარებას, ჩემი აზრით, ეს არანაირ პრობლემას არ ქმნის, თუ მშვიდობიანად წარიმართება და თუ ჩვენ ჩვენს მოთხოვნებს დავაყენებთ. ვუპირისპირდებით რექტორს, რადგან ის სამი წლის განმავლობაში თსუ-ში ხელს აფარებდა „ოდეერის“ სისტემის წარმომადგენლებს. ამის შესახებ მან განაცხადა დაძაბულ სიტუაციაში და ამით „ცეცხლზე ნავთი დაასხა“. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტში „ოდეერის“ სისტემის წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ. პროტესტანტმა სტუდენტებმა სენატს მუშაობის საშუალება უნდა მისცენ და საბოლოოდ გაირკვეს – დაამტკიცებენ თუ არა გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას. ვითხოვთ სამართლებრივი წესრიგის აღდგენას. პასუხისმგებლობას ვაკისრებთ თსუ-ის რექტორს ვლადიმერ პაპავას, რადგან მან ვერ შეძლო სიტუაციის განმუხტვა“, — განაცხადა სტუდენტური თვითმმართველობის წევრმა ბახვა კვირიკაშვილმა.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებულ აქციაზე გამოტანილ საპროტესტო ბანერებზეც, ძირითადად, რექტორის საწინააღმდეგო მოწოდებები იყო. მათ შორის: „სტუდენტებს შორის შულლის ჩამგდები რექტორი უნდა წავიდეს!“, „ჩვენ ვგმობთ ოდეერს, მაშასადამე, პაპავას!“, „პაპავა+არჩვაძე=შემდეგ ახალ წელს კრემლში!“, „პაპავა უღირს პენსიაზე!“, „უნივერსიტეტი პოლიტიკური გავლენის გარეშე!“, „უსუსური რექტორი უნდა გადადგეს!“, „სტუდენტი ბჭობდა — პაპავა იცინოდა!“, „ინსტიტუციური წესრიგის აღდგენა თსუ-ში!“, „ჭეშმარიტი ავტონომია უნივერსიტეტს!“, „არა ერთპიროვნულ მმართველობას!“... მათ, ასევე, გამოტანილი ჰქონდათ 7-14 მარტის სტუდენტური მოძრაობის აქციის ორგანიზატორების ფოტოები წარწერით - „ვემსახურებით ლადო პაპავას“.

საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას ორივე მხრიდან სხვადასხვა შინაარსისა და ურთიერთსაწინააღმდეგო შეძახილები ისმოდა. სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტები სკანდირებდნენ: „პასუხისმგებელი რექტორია!“, „არა ცილისწამებას!“ „არა ოდეერს!“. ამის პასუხად 7-14 მარტის სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენელმა სტუდენტებმა მათ პროვოკატორები და პარტიულები უწოდეს და განაცხადეს: „ამ ადამიანებს უნდათ დესტაბილიზაცია, უნდათ, რომ გადადგეს რექტორი. ნახეთ ვინ არის სიმართლის მხარეს — ჩვენ თუ ისინი?“ ლევან ლორთქიფანიძის მოწოდებას კი — „არ დავუშვებთ, რომ ბურდული უნივერსიტეტის რექტორი გახდეს!“, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელები შეძახილებით — „არა ცილისწამებას!“ — გამოეხმაურნენ.

თსუ-ის რექტორი ვლადიმერ პაპავა ორ აქციას შორის იდგა. მასთან ერთად მობილიზებულნი იყვნენ უნივერსიტეტის ვიცე-რექტორები, ფაკულტეტების დეკანები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. რექტორი იქვე გამოეხმაურა სტუდენტური თვითმმართველობის მოთხოვნებს. „ორივე მხარეზე ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები დგახართ. ორივე მხარე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა კითხვაზე პასუხი მოიძებნება და მზად ვარ — მათ ვუპასუხო. თქვენ თავისუფლები ხართ აზრის გამოხატვისას, არავინ გზლუდავთ, მაგრამ გთხოვთ, რომ დავსხდეთ და კონკრეტულად ვიმსჯელოთ პრობლემების გადაწყვეტის შესახებ, იმ პრობლემების, რომლებიც უნივერსიტეტში დაგვიგროვდა. მე მხარეებს არ ვყოფ, მზად ვარ, ნებისმიერ ფორმატში განვიხილოთ ეს საკითხები“, — მიმართა სტუდენტებს ვლადიმერ პაპავამ.

აღნიშნული მიმართვის შემდეგ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა შალვა საბაურმა რექტორს კითხვით მიმართა, თუ რატომ ფარავდა ის „ოდეერის“ ორ წარმომადგენელს თსუ-ში. „მინდა გითხრათ, რომ ორი „ოდეერის“ შესახებ მე ინფორმაცია არ მაქვს. მე ინფორმაცია მქონდა მხოლოდ ერთ პიროვნებასთან დაკავშირებით. როდესაც უნივერსიტეტში სიტუაცია გამწვავდა, სტუდენტებმა და პროფესორებმაც დასვეს ეს საკითხი, ალაპარაკდნენ... და მათ მე დავუდასტურე ის, რა ინფორმაციაც გამაჩნდა. მე ეს საკითხი მრავლობით რიცხვში არასდროს განმიხილავს“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

ამის შემდეგ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა 7-14 მარტის სტუდენტური მოძრაობის წევრ სტუდენტებს კორიდორის გაკეთების მოთხოვნით მიმართეს. თვითმმართველობის ორგანიზებული აქციის მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შესვლა სურდათ. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა პირველ კორპუსში შესვლა უკანა კარიდან სცადეს. სტუდენტური მოძრაობის აქციის წევრებმა თსუ-ის პირველ კორპუსში შესასვლელი ყველა კარის პიკეტირება დაიწყეს.

ინციდენტი

პირველი ინციდენტი 117-ე აუდიტორიასთან მოხდა. 7-14 მარტის სტუდენტური მოძრაობის წევრები აცხადებდნენ, რომ აქ ხელით შეეხნენ მათ მხარდამჭერებს.

ცოტა ხანში მათ ისევ გააკეთეს განცხადება, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები შეუერთდნენ. „ქართული ოცნების ახალგაზრდული ფრთა მობილიზებულია უნივერსიტეტში და ამაზე პასუხისმგებელია პრემიერი. მოვუწოდებთ პრემიერს, აიღოს სრული პასუხისმგებლობა თავისი პარტიის ახალგაზრდულ ფრთაზე, რომელსაც უნდა უნივერსიტეტისთვის თავისუფლების შეზღუდვა და აკადემიური სივრცის მოსპობა. ეს არის წინასაარჩევნოდ უნივერსიტეტის განადგურება,“ — განაცხადა ირაკლი კუპრაძემ.

სტუდენტური მოძრაობის აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გვანცა ხონელიძემ სტუდენტებს მოუწოდა პროვოკაციას არ აჰყოლოდნენ და აქციის ერთ-ერთი მონაწილის ნათია ქარჩილაძის ცემის ფაქტი გაახმიანა. „საბაურმა დაარტყა ნათია ქარჩილაძეს. გთხოვთ, არ აყვეთ პროვოკაციას. მოვუწოდებთ პრეზიდენტს, პრემიერს, ყველა ძალოვანს, ვისაც შეუძლია პოზიცია დააფიქსიროს, გამოთქვას საჯაროდ პოზიცია, რომ ემიჯნება ძალადობრივ ჯგუფს, რომელიც შემოიჭრა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში უკანა კარიდან და დესტაბილიზაციის შემოტანას ცდილობს. დაცვის სამსახურს მივმართავთ, ამოიღონ ის ვიდეოები, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ გადავიდნენ საპირისპირო მხრიდან მომავალი პროვოკატორები ფიზიკურ ძალადობაზე. შალვა საბაური, დაახლოებით, თხუთმეტიოდე ნიღბიან ადამიანს მოუძღოდა. დღეს, საპირისპირო აქციაზე განლაგებულები იყვნენ მთავრობის ახალგაზრდული ფრთის წევრები, ისინი არ იყვნენ სტუდენტები, მათ არც იცოდნენ — აქ რისთვის მოვიდნენ“, — განაცხადა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გადატანილ აქციაზე გვანცა ხონელიძემ.

ინციდენტის დეტალები თვითმხილველმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა დეა მინაძემ ჩვენთან საუბარშიც აღწერა: „117 აუდიტორიასთან გავმაგრდით ჩვენ, ვინც ვითხოვდით უნივერსიტეტის ავტონომიას. სტუდენტებს შორის დაპირისპირების თავიდან ასარიდებლად აბსოლუტურად მშვიდობიანად ვიქცეოდით. წინა რიგში სპეციალურად დავდექით გოგოები იმ იმედით, რომ ჩვენზე ხელს არ აწევდნენ. შემდეგ მოვიდა ტატო ირემაძე თვითმმართველობის სხვა წევრებთან ერთად და ჩვენს წინ დადგნენ. ირემაძემ ჯერ უსირცხვილოები გვიწოდა, შემდეგ კი შეტევაზე გადმოვიდნენ. დასახმარებლად დავუძახეთ დაცვას. თვითმმართველობის წევრები ისეთი ძალით მოგვაწვნენ, რომ 117-ე აუდიტორიასთან მდგარი მაგიდა მოგლიჯეს, მაგიდასთან ერთად ძირს დავცვივდით ჩვენც. იქ იყო ერთი ნეიტრალური სტუდენტი, რომელსაც გასვლა სურდა შენობიდან, მოჰყვა ჭყლეტაში და გული წაუვიდა. მის გარშემო წრე შევკარით, რომ სტუდენტებს ზედ არ გადაეარათ. შემდეგ გამოჩნდა დაცვაც და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებიც გაჩერდნენ,“ — გვითხრა ინციდენტის თვითმხილველმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა დეა მინაძემ.

„ნათია ქარჩილაძეს შალვა საბაურმა ხელი დაარტყა. ისინი აშკარა პროვოკა-

მე-10 გვერდზე

14 მარტის ორი აქცია და აქციებს შორის მოგილიზებული უნივერსიტეტის თანამშრომლები

მეცხრე გვერდიდან

ციაზე მოდიან, არიან მოძალადეები. გააშუქეთ სწორად, არ დაუთმოთ პირდაპირი ეთერი მოძალადე ბახტურიძეს, საბაურს და ტატო ირემაძეს. ამ ყველაფერს შეეწირებიან ესენი, ვერ მოახდენენ საკუთარი სახელის რეაბილიტაციას. მიუხედავად იმისა, რომ მათი მანდატები მალე მთავრდება, ამ ქვეყანაში უნდა იცხოვრონ და ვერ ჩახედავენ ვერავის თვალებში. აიღონ პასუხისმგებლობა ყველაფერზე, რასაც აკეთებენ — ნიღბიან ტიპებზე და ქალების ცემაზე. უსირცხვილოები არიან. პოლიციამ დაგვტოვა და საკითხავია, რატომ ახლა, როდესაც ყველას დაცვა გვჭირდება?! იმ დღეს კი, როცა შენობაში მშვიდობიანად გადავადგილდებოდით, არც წინ გაგვიშვეს და არც — უკან, ლამის გვცემეს. საიდან იღებენ ამ დირექტივებს... გაგვაშუქეთ სწორად, რადგან ძალადობენ ჩვენზე“, — განაცხადა 7-14 მარტის სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენელმა ანა კამლაძემ.

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა თსუ-ის პირველ კორპუსში შესვლა შეძლეს და რექტორატის წინ, ფოიეში ადგილი დაიკავეს. სტუდენტური მოძრაობის წევრებთან დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად დაცვის სამსახურმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრა.

რაც შეეხება ნათია ქარჩილაძის ცემის ფაქტს, ამ ინციდენტის თაობაზე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრს ტატო ირემაძეს ვკითხეთ. მან უარყო აღნიშნული ინციდენტის ნამდვილობა და ნიღბიანი უცხო პირების თსუ-ში შემოსვლის მცდელობაც.

„ჩვენი დემონსტრაცია არის გამიჯნული პოლიტიზირებისგან. არც ერთი პირი არ არის პარტიის წარმომადგენელი. დღეს აქ 95% თსუ-ის სტუდენტია შეკრებილი, დანარჩენი 5% კი სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები არიან, რომლებმაც სოლიდარობა გამოგვიცხადეს. ბრალდებებს არ ვადასტურებ. მე იქ ვიყავი, შალვა საბაური მხოლოდ ხმის გამაძლიერებელში საუბრობდა და სტუდენტებს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა. არავის არავისთვის ხელი არ დაურტყამს. არ ვიცი, საიდან მოდის ინფორმაცია ნიღბიანი პირების შესახებ, აქ ნიღაბი არავის არ უკეთია. თუ ვინმემ რამე შეამჩნია, არ ვიცი, ინფორმაცია არ მაქვს. ჩვენ ვაპირებთ, რომ დღის ბოლომდე არ დავიშალოთ და ეს მუხტი შევინარჩუნოთ. რექტორმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს — სენატის სხდომა ჩატარდეს და გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურა განიხილონ, ან რექტორმა დატოვოს უნივერსიტეტი“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ტატო ირემაძემ.

ტატო ირემაძის ინფორმაციით, მათ თსუ-ის პროფესორთა ნაწილი მხარს უჭერს და ისინი სპეციალურ განცხადებას ამზადებენ გასავრცელებლად.

პროფესორების პოზიციები

ლელა გაფრინდაშვილი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი:

— მე ვფიქრობ, რომ კანცლერობის კანდიდატმა კანდიდატურა უნდა მოხსნას და ამის შემდეგ სხვა – ჩემი აზრით, უფრო ღია და სამართლიანი პროცესი დაიწყება. ამ წუთში ეს მეჩვენება გამოსავლად. რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომ „ოდეერი“ უნდა გავიდეს უნივერსიტეტიდან და თვითმმართველობის რეფორმა უნდა ჩატარდეს, თავისთავად მოყვება ამ პროცესს. სტუდენტები ამბობენ, რომ თვითმმართველობის წევრები არიან პრივილეგირებულები. მათ ფაკულტეტები და ადმინისტრაცია მანიპულაციებისთვის იყენებენ. სტუდენტი უნივერსიტეტში უნდა მოვიდეს სასწავლებლად და არა პოლიტიკური თუ სხვა ტიპის თამაშებისთვის. ეს არის აკადემიური დაწესებულება.

ნაირა გელაშვილი, მწერალი:

— ჩემი აზრით, უნდა გადადგეს კანცლერი და მიჰყვეს მას აკადემიური საბჭოც, რადგან მისმა წევრებმა აბსოლუტურად ვერ მართეს სიტუაცია უნივერსიტეტში და მდგომარეობა აქამდე მიიყვანეს. მე, პირველ რიგში, სწორედ აკადემიურ საბჭოსთან მაქვს პრეტენზია. თუ ეს ასე არ მოხდება, უნდა დაიწყოს საზოგადოებრივი მოძრაობა ამ მოთხოვნით, რადგან არ შეიძლება ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი იყოს კორუფციის ბუდე, ან იყოს კერა, სადაც მომავალი „ზონდერები“ და „ოდეერები“ იზრდებიან. ჩვენ ჩვენს ფულს არ უნდა ვხარჯავდეთ იმაში, რომ უნივერსიტეტში ნეოფაშიზმის კერა მკვიდრდებოდეს და მისი კვლავწარმოება ხდებოდეს.

თინათინ მარგალიტაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— მიკვირს, რომ ეს კრიზისი ასე გაგრძელდა. დღეს მოვედი და დავდექი სტუდენტების გვერდით, რადგან სიმართლე მათ მხარესაა. გაოცებული ვარ, როდესაც საქმე იქამდე მიგვყავს, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ერევა უნივერსიტეტის საქმეში და მოუწოდებს კანდიდატს, რომ მოხსნას კანდიდატურა (ან პრემიერ-მინისტრის ჩარევა რა საჭირო იყო), ყველაფერი არის ნათელი — არჩევნები ვერ შედგა. როდესაც იმ კანდიდატმა, რომელიც პირველად იქნა შერჩეული, კანდიდატურა მოხსნა, არჩევნები თავიდან უნდა გამოცხადებულიყო. მთელი ეს არეულ-დარეულობა ჩემთვის და, უკვე ყველასთვის, აჩვენებს უკვე სხვა პროცესებს, რომელიც პირდაპირ ურტყამს უნივერსიტეტის ავტონომიას და ძალიან შემაშფოთებელია. მე მხარს ვუჭერ კონკურსის თავიდან გამოცხადებას და სტუდენტთა იმ ნაწილს, რომელიც უნივერსიტეტის ავტონომიას ითხოვს.

სალომე დუნდუა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი:

— ფაქტია, რომ უნივერსიტეტი პრაქტიკულად ჩიხშია შესული. მე ვიცი ერთი რამ – უნივერსიტეტი არ უნდა იყოს შუაზე გაყოფილი და ეს დაპირისპირება აქამდეც არ უნდა მისულიყო. საშინელებაა, რომ ახალგაზრდების ერთი ნაწილი ერთ მხარეს დგას, მეორე – მეორე მხარეს და შუაში მათ პოლიციის კორდონი ჰყოფს. 25 წელია, უნივერსიტეტში ვარ და ასეთი რამ აქამდე არ მინახავს. ეს არ არის ნორმალური სიტუაცია. ახლა ამის მოწესრიგება უკვე ძნელია. მე რომ ვყოფილიყავი კანცლერობის კანდიდატი, აქამდე გადავდგებოდი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან დადებითი ადამიანია, პროფესიონალი და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, უნდა მოხსნას კანდიდატურა, რადგან ყველაზე მარტივად ახლა მას შეუძლია სიტუაციის განმუხტვა.

თამაზ ჯოლოგუა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი:



— ჩემი აზრით, გიორგი გაფრინდაშვილმა უნდა მოხსნას კანდიდატურა, რომ სიტუაცია გამოვიდეს ჩიხიდან. ეს არის პირველი და აუცილებელი პირობა და ამის მერე შეიძლება უკვე სერიოზული და საფუძვლიანი საუბრები სხვა პრობლემებზე. ვინც დღეს ეს კონტრ-აქცია დაგეგმა, ვგულისხმობ არა სტუდენტებს, არამედ მათ უკან მდგომ ძალას, ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა ყველაფერზე, რაც შეიძლება აქ მოხდეს.

თამარ პაიჭაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, სენატის წევრი:

— როგორც სენატის წევრი, მივიჩნევ, რომ უნივერსიტეტი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს სამართლებრივ სივრცეში და, აქედან გამომდინარე, უნდა მიეცეს საშუალება, რომ კანონიერ გადაწყვეტილებებს გავყვეთ ყველანი – პროფესორებიც და სტუდენტებიც. ძალიან შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ უნივერსიტეტში უნდა იყვნენ უცხო ადამიანები, რომლებიც ჩაერევიან მის მართვასა და ფინანსების განკარგვაში. მაგრამ არსებობს მეორე რამ — ორივე მხარეს დგანან ჩვენი სტუდენტები. ჩვენ მთელი ღამე კომპიუტერებთან, ჩვენს სტუდენტებთან საუბარში გავატარეთ, ვთხოვდით, რომ დაპირისპირება არ მომხდარიყო. მეშინია, რომ არ მოხდეს რამე, რადგან ასეთ ამბებს მოჰყვება ხოლმე დაპირისპირება. მინდა, ეს ყველაფერი მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოში. ასეთ დაპირისპირებად არც ერთი სკამი არ ღირს. უნდა შედგეს აკადემიური საბჭოს სხდომა, კიდევ ერთხელ დაფიქსირდეს კანცლერობის კანდიდატის პოზიციები, გაირკვეს მის მიმართ ბრალდებების საკითხი. შემდეგ კი მოჰყვეს ამას ის ნაბიჯები, რაც წესდებაში და სამართლებრივ ნორმებშია გაწერილი.

მოამზადეს
ნატო ოგოლაძემ და მაია ტორაძემ

გიორგი გაფრინდაშვილმა თავისი კანდიდატურის მოხსნის თაობაზე განცხადება გაავრცელა

14 მარტს დღის მეორე ნახევარში გიორგი გაფრინდაშვილმა მედიასთან კანდიდატურის მოხსნის შესახებ განაცხადა და გადაწყვეტილების მიღების მიზეზებზე ისაუბრა. პრესკონფერენცია თსუ-ის ე.წ. მაღლივი კორპუსის შენობის წინ გაიმართა.

„ვითვალისწინებ რა დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს და ასევე საქართველოს პრემიერ მინისტრის მოწოდებას, სტუდენტების გახლეჩის და მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, ვხსნი ჩემს კანდიდატურას.

ამასთან ერთად ვაცხადებ, რომ ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება იყო იმ ბინძური კამპანიის ნაწილი, რომელიც დაიწყო რამდენიმე დღის წინ და ემსახურებოდა ჩემი, როგორც კანცლერობის კანდიდატის დისკრედიტაციას, მზად ვარ, პასუხი გავცე ჩემი წარსულის შესახებ ნებისმიერ კითხვას.

კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მხარდამჭერებს აკადემიურ საბჭოში ნდობისთვის, თითოეულ სტუდენტს, ადმინისტრაციის თანამშრომელსა და პროფესორ-მასწავლებლებს თანადგომისთვის და ბოდიში მოვუხადო მათ ჩემი ამ გადაწყვეტილების გამო.

ბოლო დროს უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენები, რომლებმაც საფრთხის ქვეშ დააყენა უმაღლესი სასწავლებლის ნორმალური ფუნქციონირება და გამოიწვია სტუდენტების დაპირისპირება,

მართული იყო იმ ძალების მიერ, რომლებიც ცდილობდნენ — კანონის სრული დაცვით არჩეული კანცლერობის კანდიდატის დისკრედიტირებას და უნივერსიტეტის გახლეჩას.

ვთვლი, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა თავის თავზე უნდა აიღოს უნივერსიტეტის რექტორმა, რადგან მან, როგორც უნივერსიტეტის პირველმა პირმა, არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგა მიმდინარე დღეებში სიტუაციის ნორმალიზების, სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევისა და დაძაბულობის თავიდან აცილებისთვის.

რექტორის მხრიდან პასუხისმგებლობის თავზე აღება არ მინდა ორაზროვნად იქნას აღქმული. ამიტომ განვმარტავ, იგი უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან“, — აღნიშნა გიორგი გაფრინდაშვილმა.

სტუდენტური მოძრაობის აქციის მონაწილე სტუდენტები გაფრინდაშვილის გადაწყვეტილებას ოვაციებით შეხვდნენ. თუმცა, დანარჩენი მოთხოვნების შესრულების მიზნით, ისინი საპროტესტო დემონსტრაციების გაგრძელებას გეგმავენ.

როგორ გამოეხმაურა აქციის მონაწილე სტუდენტი გაფრინდაშვილის მხრიდან თავისი კანდიდატურის მოსხნას

ლევან ლორთქიფანიძე, აქციის მონაწილე სტუდენტი: „სამწუხაროდ, ეს ადამიანები, ბატონი გაფრინდაშვილი, თვითმმართველობის და იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლებმა გაიყვანეს სამსხვერპლოზე, გაწირეს ეს ადამიანი, დააყენეს უდიდესი ზეწოლის ქვეშ. როგორც იქნა ამ ტყვეობიდან იგი გათავისუფლდა და მიიღო ადეკვატური, მოქალაქეობრივი გადაწყვეტილება. მე მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ მას თავის კარიერაში — პროფესორის რანგში და, იმედი მაქვს, რომ აკადემიურ თანამდებობაზე ძალადობის და ყოველგვარი სხვა დამატებითი ეჭვების გარეშე იგი გააგრძელებს თავის საქმიანობას. უნივერსიტეტში პროფესორზე მაღალი თანამდებობა არ არსებობს, იგი პროფესორია და შეუძლია ამ მიმართულებით გააგრძელოს თავისი საქმიანობა“.

რექტორის გადადგომის მოთხოვნის ფონზე მიმდინარე აკადემიური საბჭოს სხდომა

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობაში, რექტორატის წინ უნივერსიტეტის დაცვამ გააკეთა კორდონი, რომლის ერთ მხარეს სტუდენტური თვითმმართველობის წევრები იდგნენ, ხოლო მეორე მხარეს მარტის ცნობილი მოვლენების აქციის მონაწილე სტუდენტები. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები რექტორის მისამართით სკანდირებდნენ: „გადადექი! მოვითხოვთ პაპავას იმპიჩმენტს! წადი!“ მეორე მხარეზე კი აქციის მონაწილენი თავიანთი მხარდამჭერების გასაგონად მეგაფონით გაჰყვიროდნენ: „პაპავა არ უნდა გადადგეს!“.

ჩვენთან საუბარში აქციის მონაწილე სტუდენტმა გვანცა ხონელიძემ განაცხადა: „ერთხელ და სამუდამოდ უნივერსიტეტში უნდა შეწყდეს ვაჭრობა. ვიცი, რომ გაკეთებულია კორდონი. თვითმმართველობა ამ კორდონის მიღმა ითხოვს რექტორის იმპიჩმენტს. ბატონი ლადო იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც საჯაროდ ხმა ამოიღო გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურაზე და „ოდეერებზე“, მან ეს საქმე „გახეთქა“ და „ოდეერის“ არსებობაზე ხმამაღლა თქვა. პაპავა არ არის ამ ხელისუფლების პაიკი და მრჩება შთაბეჭდილება, რომ განათლების მინისტრმა, როცა იგი ჩვენ შეგვხვდა, სწორედ ამიტომ გააჟღერა ის პოზიცია, რომ თურმე პაპავას უნდა გამოეჩინა უფრო მეტი ნებისყოფა, ვიდრე განათლების მინისტრს. პაპავას იმპიჩმენტი გამოიწვევს იმას, რომ ბურდულს დანიშნავენ, ან რომელიღაც „მძიმე ხელს“ მოიყვანენ, რაც არის წარმოუდგენელი. პაპავა ახლა, ამ ეტაპზე მაინც, არ უნდა გადადგეს. ეს გამოიწვევს საშინელ დესტაბილიზაციას უნივერსიტეტში!“.

უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლებს ორივე მხარეს მობილიზებული სტუდენტებთან პერიოდულად ჭიდილი უწევდათ, რათა კორდონი არ გარღვეულიყო.

პარალელურად რექტორატში აკადემიური საბჭოს სხდომა დაიწყო. სხდომას სტუდენტური თვითმმართველობიდან 5 წარმომადგენელი და 7-14 მარტის მოვლენების აქციის 3 მონაწილე დაესწრო. სხდომა სტუდენტური თვითმმართველობის წევრების მხრიდან კვლავ ლადო პაპავას გადადგომის მოთხოვნის ფონზე მიმდინარეობდა. იყო რექტორატის კარების შემტვრევის მცდელობაც.

„ეტყობა რექტორის ინტერესებში შედის, რომ აქ არეულობა და დაძაბულობა იყოს. ასეთი რაღაც არ მომხდარა უნივერსიტეტში. მე 7 წელია აქ ვარ და არ მახსოვს ასეთი დაძაბულობა მომხდარიყო სტუდენტებს შორის. წლების წინ სტუდენტები ერთმანეთთან ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში იყვნენ და იმ დროს არსებულმა რექტორმა 15 წუთში გადაწყვიტა პრობლემა და დაძაბულობა მოხსნა. დღეს კი პირიქით, ცეცხლზე ნავთის დასხმა მიდის. რექტორი ბევრმა დაადანაშაულა იმაში, რომ ვერ უზრუნველყოფს სათანადო მშვიდობიან პროცესებს უნივერსიტეტში და ველოდებით აკადემიური საბჭოსა და მის გადაწყვეტილებას“, — განაცხადა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა მედიასთან საუბარში.

მალე გარეთ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აკადემიური საბჭო რექტორის იმპიჩმენტის საკითხს არ განიხილავდა.

„პირადად მე გადადგომის საკითხს გამოვრიცხავ. აკადემიურ საბჭოზე იყო მსჯელობა, რომ აკადემიური საბჭო არ აპირებს რექტორის იმპიჩმენტის საკითხის განხილვას. ჩემი გადადგომის საკითხი გამორიცხულია, რათა უნივერსიტეტი არ შევიდეს უფრო დიდ ჩიხში. ამჟამად მიმდინარეობს კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის საკითხზე მსჯელობა“, — განაცხადა მედიასთან საუბარში რექტორმა ლადო პაპავამ.

ზამთრის სკოლა – დიგიტალური ქართველოლოგია

20-27 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზამთრის სკოლა „დიგიტალური ქართველოლოგია — თემატური კორპუსები და ანოტირების საკითხები ქართველურ ენებში“ გაიმართა. პროექტი შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანიზებით განხორციელდა.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, ზამთრის სკოლის მიზანი იყო თსუ-სა და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები უფრო ახლოს გასცნობოდნენ ქართველოლოგიაში დიგიტალური კვლევების განსახორციელებლად აუცილებელ მეთოდურ და ტექნოლოგიურ საშუალებებს და აქტიურად ჩართულიყვნენ თემატური კორპუსების შექმნაში. ზამთრის სკოლა, ასევე, მიზნად ისახავდა ქართველოლოგიაში თანამედროვე ტექნოლოგიური ელექტრონული სასწავლო გარემოს შესაქმნელად ონლაინ სწავლების ინოვაციური სისტემების შესაძლებლობების გაცნობას და სწავლების ახალი ფორმატის დანერგვას.

შურთხია გეროშვილი

როგორც პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ ღონისძიებაზე განაცხადა, ზამთრის სკოლის ტრადიცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეშვიდე წელია წარმატებით გრძელდება და უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. „ზამთრის სკოლის“ მუშაობას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ერთობლივად ახალ კვლევებზე მუშაობენ. წელს ჩვენი კვლევა დიგიტალური ქართველოლოგიის პრობლემებს მიეძღვნა, რომლის დროსაც ჩვენმა სტუდენტებმა აითვისეს კვლევის ის ახალი მეთოდები, რომლებიც კარგა ხანია დანერგილია ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სტუდენტებმა მოისმინეს უცხოელი და ქართველი პროფესორების საინტერესო ლექციები და თავადაც აქტიურად ჩაერთნენ კვლევის პროცესში. ასეთი ღონისძიებები ხელშემწყობი ფაქტორია ჩვენი სტუდენტებისთვის ევროპულ აკადემიურ სივრცეში ინტეგრირებისა და მათი პროფესიული დახელოვნებისთვის“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

ზამთრის სკოლის ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა მანანა თანდაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუდენტებსა და პროფესორებს ერთობლივი მუშაობისთვის და შედეგებზე ისაუბრა: „წლევანდელი ზამთრის სკოლა განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. ეს პროექტი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ არა მარტო მოესმინათ ლექციები, არამედ პრაქტიკულად ჩართულიყვნენ ამ პროგრამის მთლიან მსვლელობაში. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ თემატიკიდან გამომდინარე, სტუდენტებთან აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენ წელსაც გამოვიყენეთ სწავლების ევროპული კონცეფცია — 24 საათიანი სასწავლო სივრცე, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს არა მხოლოდ აუდიტორიაში, არამედ სხვა სივრცეშიც, ინტერნეტის საშუალებით წვდომა ჰქონდეთ იმ მასალებთან, რომლებიც ლექციებზე მოისმინეს. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ჩვენი სტუდენტები აქტიურობდნენ ინგლისურად წაკითხული ლექციების დროსაც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მზად არიან ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში ჩასართავად. ჩვენი მიზანიც ხომ სწორედ ეს არის — დავნერგოთ ევროპული სტანდარტები. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები სწორედ ამის დადასტურებაა“, — აღნიშნა მანანა თანდაშვილმა.

ზამთრის სკოლის მნიშვნელობაზე ისაუბრა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა თინათინ ბოჭორიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ასეთი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია როგორც უნივერსიტეტისთვის, ასევე სახელმწიფოსთვისაც: „დღეს ამაყი ვარ, რომ რუსთაველის ფონდი აფინანსებს ასეთ სეზონურ სკოლებს, რომელიც საქართველოში მეცნიერების განვითარებას ემსახურება. რაც უნდა მდიდარი გახდეს სახელმწიფო, თუ მთავარი ღირებულებები არ გამოიკვეთა, ჩვენი შრომა უქმად ჩაივლის. ქართველოლოგია სწორედ ის სფეროა, რომელმაც უნდა გამოკვეთოს საითკენ მიდის ჩვენი სახელმწიფო, რა ღირებულებები აქვს და რა არის მისთვის პრიორიტეტული. სწორედ ამ მიზანს ემსახურება რუსთაველის ფონდი, რათა საქართველოში მეცნიერება განვითარდეს და ევროპულ სტანდარტებს გაუთანაბრდეს. ქართველოლოგია სახელმწიფოსთვის „საყვარელი შვილი“ უნდა იყოს“, — განაცხადა თინათინ ბოჭორიშვილმა.

ზამთრის სკოლის მუშაობაზე თავისი აზრი სტუდენტებმაც გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებას. „ჩემთვის ზამთრის სკოლაში მონაწილეობა ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომაც წელს უკვე მეხუთედ ჩავერთე სასწავლო პროცესში. ჩემი აზრით, ქართველოლოგია სწორედ ის დარგია, რომელიც განვითარებადია და სიახლეებს გვთავაზობს. ჩემთვის, როგორც მომავალი მეცნიერისთვის, მნიშვნელოვანი იყო კვლევებში ჩართვა. იმედი მაქვს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მიმართულებით კვლავაც გაგრძელდება მუშაობა და მეც ყოველთვის აქტიური მონაწილე ვიქნები ამ პროცესების“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტმა გიორგი ჯღარკავამ.

„ზამთრის სკოლის“ დახურვის საზეიმო ცერემონიალზე სტუდენტები პროექტის ხელმძღვანელებმა პრიზებითა და სერტიფიკატებით დააჯილდოვეს.

ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა – 2016

19-29 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის მხარდამჭერთა საერთაშორისო ასოციაციისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით „ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა — 2016“ გაიმართა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროგრამის გამარჯვებული პროექტის (თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული ვეფხისტყაოსანი) ხელმძღვანელმა, თსუ-ის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ საზეიმო დახურვის ცერემონიალზე პროექტის მონაწილე სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა და ქართველოლოგიის განვითარებასა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, სკოლის მიზანი იყო მეცნიერებაში ქართველოლოგიის მიმართულებით დაინტერესებული ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავება, უახლესი სამეცნიერო კვლევების გაცნობა-პოპულარიზაცია და სამეცნიერო წრეებთან მსმენელთა ადაპტირება.

შურთხია გეროშვილი

პროექტის ორგანიზატორის თამარ მელიქიძის ინფორმაციით, „ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა 2016“-ის განხორციელებას წინ რამდენიმე ეტაპი უძღოდა: სკოლაში მონაწილეობის მსურველებს უნდა მოეწოდებინათ ინფორმაციულ-სამეცნიერო ან მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომი ნებისმიერ საკითხზე ქართველოლოგიური მეცნიერებების შემდეგი მიმართულებებიდან: საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე), ქართული ენა და მისი დიალექტები, ქართული ლიტერატურა (XXI საუკუნის ლიტერატურულ პროცესებამდე), საქართველოს არქეოლოგია, ქართულ-ბერძნული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობები და ქართული ფოლკლორი და საქართველოს ეთნოგრაფია. მნიშვნელოვანია, რომ კონკურსში 100-ზე მეტმა სტუდენტმა და სკოლის მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან პროექტის მეორე ეტაპისთვის 3 მონაწილე შეირჩა. პროექტის დასკვნითი ეტაპისთვის შერჩეული ჯგუფი შეიკრიბა თსუ-ის ქართველოლოგიური სკოლის ცენტრში, სადაც მოისმინეს ლექცია ქართველოლოგიაში და გაეცნენ სკოლის პროგრამას, რომელიც მოიცავდა 10-დღიან ინტენსიურ სალექციო კურსს ქართველოლოგიის თითქმის ყველა მიმართულებით, რომელსაც უძღვებოდნენ: იაპონელი ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა ტოკიოს უნივერსიტეტიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: დარეჯან თვალთვაძე, ელგუჯა ხინთიბიძე, დამანა მელიქიშვილი, თამარ პაიჭაძე, ქეთევან სიხარულიძე, გიორგი ოთხმეზური, ქეთევან ხუციშვილი, რისმაგ გორდეზიანი, ზაზა ხინთიბიძე და ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლევან გიგინეიშვილი.

„ჩვენი მიზანია, ზამთრის სკოლა ისეთივე წარმატებული იყოს, როგორც ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა, რომელიც 1995 წლიდან ყოველ ზაფხულს ტარდება და ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზებას ეწევა უცხოელ სტუდენტებში. გარდა სამეცნიერო ღირებულებისა, ვფიქრობთ, პროექტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ეს არის სარბიელი ახალი გამოწვევებისთვის. პროექტის მხარდაჭერისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, გამომცემლობა ,,ლოგოსს“ და ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის საგამომცემლო ჯგუფს „ქართველოლოგს“. ვიმედოვნებთ, რომ ამ სკოლის ტრადიცია გაგრძელდება და მომავალშიც გამოავლენს ქართველოლოგიური მეცნიერებებით დაინტერესებულ ნიჭიერ ადამიანებს“, — აღნიშნა თამარ მელიქიძემ.

„ქართველოლოგიის სკოლის განვითარებას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მისასალმებელია, რომ თქვენმა შრომამ ასეთი შედეგი გამოიღო: ამ პროექტის წარმატებით განხორციელება ის აგურია, რომელზეც მომავალში მნიშვნელოვანი გამოკვლევები დაშენდება. მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ხელმძღვანელს, ბატონ ელგუჯა ხინთიბიძეს, რომლის მეშვეობით ქართველოლოგია ასე წარმატებულად ვითარდება“, — განაცხადა თსუ-ის ვიცერექტორმა დარეჯან თვალთვაძემ.

ზამთრის სკოლის მონაწილეებს მიესალმა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, რომელმაც პროექტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა: „ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ქართველოლოგია საიმედო ხელშია“, — აღნიშნა ნანა გაფრინდაშვილმა.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა ელგუჯა ხინთიბიძემ ზამთრის სკოლის მონაწილეებს წარმატება მიულოცა და ქართველოლოგიის სკოლის განვითარების მიზნებზე ვრცლად ისაუბრა: „ჩვენი, ქართველი მეცნიერების მოვალეობაა, როგორმე ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას, ქართველოლოგიას ახალგაზრდა, მომზადებული კადრი დავუტოვოთ. ეს, უპირველესად, აუცილებელია ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ, ამასთან, დიდი ამბიციითაც გამოვირჩევით, რაც დასაძრახი არ არის, რადგან მდიდარი წარსული და ისტორია გვაქვს. ამ ყველაფერს კი გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება. ამაზე სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს, ეს უნდა აწუხებდეს საზოგადოებასაც. ჩვენი, პედაგოგების ვალია, აღვზარდოთ ისეთი სტუდენტები, რომლებიც თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებენ, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი“, — აღნიშნა ელგუჯა ხინთიბიძემ.

პროექტის ყველაზე წარმატებული მონაწილეები, სხვა პრიზებთან ერთად, გერმანელი ქართველოლოგის ჰაინც ფენრიხის საქველმოქმედო ფონდიდან მცირე პრემიითაც დაჯილდოვეს, სკოლის ყველა მონაწილეს კი სიგელები, სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა.

წერილი რედაქციას

გიორგი გოგოლაშვილის გამოხმაურება ნოდარ ცინცაძის წერილის გამო

პატივცემულო რედაქცია,

ძალიან კარგია, რომ ჩვენს გაზეთში მომრავლდა კრიტიკული წერილები, რომ ობიექტურად ფასდება უახლოეს წარსულში მიმდინარე პროცესები. სწორედ ერთ-ერთი ასეთი წერილი გამოქვეყნდა წინა ნომერში (აკად. ნოდარ ცინცაძე, „განათლებისა და მეცნიერების დანგრევა სამშობლოს ღალატის ტოლფასია“).

ფაქტია, განათლება და მეცნიერება ჩვენი საუკუნოვანი ტკივილია; ჯერ კიდევ ა. წერეთელი წერდა — „ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებული“; ხოლო ი. გოგებაშვილი ბრძანებდა: „ენა, რომელზეც მეცნიერება არ არსებობს, განწირულია დასაღუპავად“... აკადემიკოს ნ. ცინცაძის წერილის მთავარი პათოსიც ეს არის და ტკივილიც — განათლება და მეცნიერება სავალალო მდგომარეობაშია. ამ მდგომარეობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზზეც საუბრობს ბატონი ნოდარი: „წინა მთავრობამ გააუქმა როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციების დაცვის ძალიან კარგი კანონი და შემოიღო განათლებისა და მეცნიერების გამანადგურებელი — დოქტორის აკადემიური ხარისხი“. ვეთანხმებით ბატონი ნოდარის ამ აზრს; ეს ჭეშმარიტებაა... მაგრამ ვერ გავიზიარებთ მომდევნო მსჯელობას: „ძველმა მთავრობამ განათლებისა და მეცნიერების მოსპობა გადაწყვიტა. გასაკვირი ის არის, რომ უნივერსიტეტებში, სადაც დისერტაციების დაცვებია, არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც გააპროტესტებდა „დოქტორის აკადემიური ხარისხის“ შემოღებას“.

რას ბრძანებთ ბატონო ნოდარ! აღმოჩნდა და არაერთი!...

გიორგი გოგოლაშვილი

რაც მე ისტორია ვიცი, ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის თავის სიმაღლეზე იდგა, როცა საქმე ეროვნულ პრობლემებს ეხებოდა! ასე იყო ამჯერადაც. გავიხსენოთ ათიოდე წლის წინათ მიმდინარე პროცესები:

2004 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდა კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ. თბილისის უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე განიხილეს კანონპროექტი. 2004 წლის 27 სექტემბერს გაიმართა უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომა. ვმსჯელობდით კანონპროექტის ავ-კარგზე. ერთ-ერთი სწორედ მეცნიერებისა და სამეცნიერო ხარისხების თემა იყო. უნივერსიტეტმა დაიწუნა კანონპროექტი და მიმართა პრეზიდენტს: „მოგმართავთ თხოვნით, არ დაუშვათ წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვა, უზრუნველყოთ განათლებისა და მეცნიერების განვითარების ეროვნულ ტრადიციებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული კონცეფციის შემუშავება პროფესიონალთა მიერ და მისი საჯარო განხილვა, იმ ანგარიშით, რომ სწორედ ასეთი წესით მიღებულ, შეჯერებულ კონცეფციას დაეფუძნოს მთელი შემდგომი კანონშემოქმედებითი საქმიანობა“. მიმართვა გამოქვეყნდა პრესაში. მკითხველს შევახსენებ იმასაც, რომ კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: მ. ლორთქიფანიძემ, თ. გამყრელიძემ, თ. კოპალეიშვილმა, რ. გორდეზიანმა, ე. ხინთიბიძემ, ა. ხელაშვილმა; პროფესორებმა: მ. ნათაძემ, ჯ. ჭუმბურიძემ, ჯ. მებონიამ, მ. ჩიტაშვილმა, თ. კობახიძემ, გ. გოგოლაშვილმა და სხვ. საბჭოს სხდომის ანგარიში დაიბეჭდა უნივერსიტეტის გაზეთში. სწორედ საბჭოს ამ სხდომის გამო დაატეხა რისხვა ხელისუფლებამ უნივერსიტეტს: მინისტრი კ. ლომაია აღშფოთებული გამოვიდა ტელევიზიით, როგორ გაბედეთ ჩვენი გაკრიტიკებაო და ჩვენი პროფესურა „შეამკო“ ეპითეტებით: „უსინდისო“, „უნამუსო“, „ისტერიული“... საბჭოს სხდომის მეორე დღეს მ. სააკაშვილი სოფ. ცხრუკვეთს სტუმრობდა და იქიდან ლანძღა უნივერსიტეტი („ნითელი პროფესორები“, „მექრთამეები“, „კორუმპირებულები“)... ამ ფაქტმა გადაწყვიტა რექტორის ბედიც...

თსუ-ის აქტიური პროფესურა რამდენჯერმე შეხვდა მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და თვით მ. სააკაშვილსაც... პრესაში ქვეყნდება წერილები, წიგნად გამოდის ა. არაბულის „უამი მეცნიერების გადარჩენისა“, გ. გოგოლაშვილის „ბედი ქართული უნივერსიტეტისა ათასწლეულის კარიბჭესთან“...

შეიქმნა ორგანიზაცია „განათლებისა და მეცნიერების გადარჩენისათვის“; იმართება აქციები... ხელისუფლება ვერ ამართლებს თავის ბარბაროსულ დამოკიდებულებას განათლებისა და მეცნიერებისადმი და ძალისმიერ მეთოდებს მიმართავს: უნივერსიტეტის პროფესორთა წინააღმდეგ პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო გამოიყენა. ის 9 თანამშრომელი (მათ შორის 5 ფიზიკოსი) მართლა „წვრილმანი ხულიგნობისთვის“ კი არა, განათლებისა და მეცნიერების ქომაგობისთვის გაგვასამართლა სააკაშვილის სასამართლომ... ვერ შევძელით, გადაგვერჩინა ის, რისთვისაც ვიბრძოდით და მოგვიხდა ჩვენთვის ძვირფასი უნივერსიტეტის დატოვება... ეს გასახსენებლადაც კი ძალიან მძიმეა...

ამიტომ ნუ ვიტყვით, ბატონო ნოდარ, „უნივერსიტეტებში, სადაც დისერტაციების დაცვებია, არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც გააპროტესტებდა „დოქტორის აკადემიური ხარისხის“ შემოღებას“-ო. ყოველივე ეს არცთუ ისე შორეულ წარსულში იყო... ნუ გავაუფასურებთ ადამიანების დამსახურებას, ნუ განვუახლებთ მათ ტკივილებს...

პატივისცემით,

გიორგი გოგოლაშვილი,
პროფესორი

თსუ-ის ბიბლიოთეკას აკაკი შანიძის წიგნები შეემატა

26 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზში აკაკი შანიძის პირადი ბიბლიოთეკის პრეზენტაცია გაიმართა.

აკადემიკოს აკაკი შანიძის პირადი ბიბლიოთეკა 2015 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადმოეცა. კოლექცია 1140 დასახელების 2030 საბიბლიოთეკო ერთეულისგან შედგება. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მოამზადა აღნიშნული კოლექციის საძიებელი, რომელიც ასევე წარმოდგენილი იყო პრეზენტაციაზე. აკაკი შანიძის დაბადებიდან 129 წლისთავს მიეძღვნა აგრეთვე თსუ-ის ქართული ენის ინსტიტუტის მიერ გამართული საჯარო სხდომა, სადაც ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა თავიანთი მოხსენებები წარმოადგინეს.

შურთხია ბერეშვილი

„გარდა იმისა, რომ აკაკი შანიძე გახლდათ თსუ-ის ფუძემდებელი, დიდი მეცნიერი და დიდი საზოგადო მოღვაწე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი ბიოგრაფიის ერთი საინტერესო დეტალიც — იგი 1919-1922 წლებში ბიბლიოთეკის დირექტორი იყო, რისი გახსენებაც ჩვენ ძალიან გვეამაყება. თსუ-ის ბიბლიოთეკაში ინახება დიდი მეცნიერების, მათ შორის: გიორგი ახვლედიანისა და შალვა ნუცუბიძის პირადი ბიბლიოთეკები, ახლა ამას აკაკი შანიძის ბიბლიოთეკაც მიემატა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამისთვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ ქალბატონ ლელა შანიძეს, რომელმაც 2000 წიგნი გადმოსცა ჩვენს ბიბლიოთეკას. ეს წიგნები პირველ კორპუსში, რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზში განთავსდება და ჩვენს მკითხველს, სტუდენტსა თუ აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა ექნება საბიბლიოთეკო წესების გათვალისწინებით ისარგებლოს აკაკისეული წიგნებით. ამ მოვლენას მივუძღვენით, ასევე, აკაკი შანიძის კოლექციის საძიებელი, რომლის

საშუალებით მკითხველი კოლექციის აღწერილობას გაეცნობა“, — განაცხადა ღონისძიებაზე თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

„აკაკი შანიძის დაბადებიდან 129 წელი გავიდა. თსუ-ის ქართული ენის ინსტიტუტი ამ დღეს ყოველთვის საჯარო სხდომით აღნიშნავს. წელსაც, ტრადიციულად, პირველი მომხსენებელი მზექალა შანიძე იყო, რომელმაც დიდი მამის ხსოვნის წინაშე პირობა დადო, რომ მისი დაბადების დღე, თავის მხრივ, სამეცნიერო „ძღვენით“ აღნიშნოს. სხდომაზე ძალიან საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს როგორც პროფესორებმა, ასევე თსუ-ის მაგისტრანტებმა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თსუ-ის ბიბლიოთეკაში აკაკი შანიძის წიგნების კუთხე მოეწყობა, უნივერსიტეტისთვის ეს დიდი პატივია“, — განაცხადა თსუ-ის ვიცე-რექტორმა დარეჯან თვალთვაძემ.

„მამას თავისი საქმიანობა მეტისმეტად მნიშვნელოვნად მიაჩნდა. იგი დიდი გულისყურით ეკიდებოდა თავის სამუშაოს და, პრაქტიკულად, ოთხმოცი წელიწადი შეალია ამ საქმეს. ის ფაქტი, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საენათმეცნიერო მუშაობა კვლავ გრძელდება, მამას ეს ძალზე გაახარებდა. ჩემთვის სასიხარულოა, რომ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად ტარდება სესიები და, საზოგადოდ, მამაჩემის დაწყებული საქმე გრძელდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს მეცნიერებას უჭირს და მიუხედავად ყველა სიძნელისა, ეს ხალხი მაინც მუშაობს, რაც ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ასევე, სიმბოლური მნიშვნელობის არის, რომ მამაჩემის ბიბლიოთეკა თსუ-ს გადაეცა. იგი ყოველთვის ამბობდა: „არავითარი სიმდიდრე არ შემიძენია ჩემი ცხოვრების მანძილზე, გარდა ჩემი ბიბლიოთეკისა“, — ასე გაიხსენა აკაკი შანიძე 129 წლისთავზე მზექალა შანიძემ.

ღონისძიების ბოლოს სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა თსუ-ის ეზოში აკაკი შანიძის ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

გედევან ხელაია: 88 წლის ვარ და ბევრ ცვლილებას მოვესწარი

დრო დადგა ისეთი, რომ ბანკზე, კრედიტზე და ვალუტის კურსზე დღეს ყველაზე ხშირად საუბრობენ. საუბრობენ ყველგან — ოჯახებში, სამეგობროში, სამსახურებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც კი. თუმცა, სულ რაღაც მეოთხედი საუკუნის წინ, ჩვენში, კომერციულ ბანკებსა და მევახშეებზე მხოლოდ ყურმოკვრით გქონდათ გაგონილი, ისიც, უფრო ემილ ზოლასა და დოსტოევსკის მსგავსი მწერლების დამსახურებით. მაშინ ბანკებსა და კრედიტებს დასავლური რომანტიკის სურნელი დაჰკრავდა და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მოკლე პერიოდში თავად შევქმნიდით ქვეყანას, სადაც საბანკო სექტორი ყველაზე მეტად იქნებოდა განვითარებული, ჩვენი ცხოვრება კი ამ სექტორზე სისხლხორცეულად დამოკიდებული. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, ემერიტუს-პროფესორთან და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გედევან ხელაიასთან საუბრისას, რომელიც უკვე 72 წელია ფინანსებსა და საბანკო საქმეს სწავლობს და ასწავლის, პირველად გამიჩნდა აზრი, რომ, ერთადერთი, რაც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს თანამედროვე განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს და გამართულად ფუნქციონირებს – ჩვენი კომერციული ბანკებია. თუმცა, ისიც გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ საამისოდ ერმაც, ბერმაც და საერთაშორისო ინსტიტუტებმაც ყველაფერი გავიღეთ – ამ სიტყვის პირდაპირი და ძალიან ზუსტი გაგებით.

გვესაუბრება ემერიტუს-პროფესორი **გედევან ხელაია:**

— საბჭოთა კავშირის დროს ბანკი და ფინანსური სისტემა სრულიად განსხვავდებოდა დღევანდლისგან. მაშინ ერთი სახელმწიფო ბანკი იყო. იყვნენ დარგობრივი ბანკებიც მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა მიმართულებებში, მაგრამ ესენიც ერთ სახელმწიფო ბანკში შედიოდნენ. რესპუბლიკებში იმ სახელმწიფო ბანკს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორა, რომელიც მართავდა საქართველოში მთელ საბანკო საქმეს. მაშინ საბანკო საქმე ძალიან ადვილი იყო: მოდიოდა ერთიანი ინსტრუქცია მოსკოვიდან და ამ ბრძანების მიხედვით მიდიოდა მუშაობა. შემნახველი სალარო, სადაც მოსახლეობა დანაზოგს ინახავდა, ცალკე სტრუქტურა იყო.

— ვისზე გასცემდა მაშინდელი ბანკი კრედიტს? საბჭოთა კავშირში ხომ სახელმწიფოს საკუთრება იყო ყველაფერი – ბანკიც, ფულიც და საწარმოებიც?

— კრედიტი გაიცემოდა სავაჭრო, სამრეწველო ორგანიზაციებზე, კომუნალური მეურნეობის საწარმოებზე, იყო მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები. კოლმეურნეობები ცალკე ჯგუფი იყო, მაგრამ მაინც სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული.

— პროცენტებით აბრუნებდნენ სესხს?

— რა თქმა უნდა, თავისებური პროცენტები იყო, მაგრამ მაინც სახელმწიფოს ეწერებოდა ყველაფერი. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ორგანიზაცია ვალის გასტუმრებას ვერ ახერხებდა და წლობით გადაუხდელ კრედიტებს სახელმწიფო ფარავდა შემდეგ.

მთელი ცხოვრება კაპიტალიზმს ვაკრიტიკებდი... ამას ვიფიქრებდი, რომ ჩემს თვალწინ დაინგრეოდა უზარმაზარი სისტემა? თან ეს მოხდა ძალიან სწრაფად. მერე რამდენიმე წელი გარდამავალი პერიოდი იყო და წამოვიდა სულ სხვა ტიპის საბანკო სისტემა. შემნახველი სალაროები გაუქმდა და უკვე ბანკები ახორციელებენ ამ და სხვა მრავალ ოპერაციას. დღეს განვითარებულ ქვეყნებში ბანკები 2-3 ათასამდე ოპერაციას აკეთებენ, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მართავენ. ჩვენთანაც, კომერციული ბანკები საკმაოდ განვითარდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა საბანკო სისტემა, ჩვენებიც, მომსახურებაში, უკვე ძალიან წინ წავიდნენ, მაგრამ ჩვენთან ჯერ ვერ განვითარდა ფასიანი ქაღალდების ბირჟა: ბანკები ეწინააღმდეგებიან ამას, რადგან მოაკლდებათ შემოსავალი. არა და, ბირჟა რომ სათანადოდ მუშაობდეს, მოსახლეობაც ჩაერთვებოდა ფინანსურ პროცესებში. ფასიანი ქაღალდების ბირჟისათვის კი ბევრი საწარმოა საჭირო, რომლებიც ქმნიან პროდუქციას, კაპიტალს... მხოლოდ მომსახურების სფეროს ობიექტებით — რესტორანებითა და სასტუმროებით ვერ გაკეთდება ეს საქმე. თუმცა, ჩვენ უკვე ვდგავართ საბაზრო ეკონომიკის გზაზე, მაგრამ ბევრი შეცდომა დავუშვით და ძალიან ბევრია ჯერ კიდევ გასაკეთებელი, რომ ამ ტიპის ეკონომიკაზე სრულფასოვნად გადასვლა მოხდეს.

— ბატონო გედევან, თქვენი ცხოვრება მარტო ფინანსების კვლევა არ ყოფილა. უამრავი სხვა გატაცება და მიღწევა გქონდათ. მთავარი მაინც აკადემიური საქმიანობა იყო, რომელსაც დღემდე განაგრძობთ...

— სკოლა ფოთში დავამთავრე და 1944 წელს ჩავაბარე უნივერსიტეტში. მინდოდა ისტორიკოსი გავმხდარიყავი, მაგრამ ვიავადმყოფე და დროულად ვერ ჩამოვედი თბილისში — ისტორიის ფაკულტეტი შევსებული დამხვდა და შემდეგ ფინანსებზე და კრედიტებზე ჩავირიცხე. სხვათა შორის, გამოცდები ძალიან ობიექტურად ტარდებოდა მაშინ. ჩვენი კათედრის გამგე პროფესორი ქოიავა იყო, რომელსაც გერმანიაში ჰქონდა დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი და ენები კარგად იცოდა. იმ პერიოდში ენების სწავლა არ იყო ადვილი საქმე. ერთ პატარა ამბავს გეტყვით: ფრანგული ენა ვიცოდი, თუმცა უფრო უკეთესად მინდოდა, რომ შემესწავლა. რამდენიმე ბიჭი შევიკრიბეთ და კერძო მასწავლებელთან ვმეცადინეობდით. უშიშროება დაგვადგა თავზე და დაგვაბრალა, თითქოს უცხოეთში გვინდოდა გაპარვა და ამ მიზნით ვემზადებოდით ფრანგულში. მოგვიხდა ახსნა-განმარტების დაწერა ამასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ჩვენს მასწავლებელს იმდენად შეეშინდა, რომ ამის შემდეგ აღარ მიგვიღო, ამიტომ მივანებე თავი ენების შესწავლას.

უნივერსიტეტი დავამთავრე 1949 წელს და აქვე დავრჩი სამუშაოდ. სტუდენტობის პერიოდში უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდის კაპიტანი ვიყავი და საკავშირო შეჯიბრებებზეც გავდიოდით, რომელიც სასწავლო დაწესებულებებს შორის ტარდებოდა. საქართველოს ნაკრებშიც ვიყავი 1950 წელს, სადაც ქორქია, ჯორჯიკია, ნიჟარაძე და სხვა ცნობილი სპორტსმენები თამაშობდნენ. თუმცა, სპორტს არ გავყევი და აკადემიური კარიერა ავირჩიე. სიმღერაც კარგად გამომდიოდა. ჩემი სტუდენტობის მეგობრები იყვნენ ნოდარ დუმბაძე და არჩილ სულაკაური, რომლებმაც კონსერვატორიაში ძალით მიმიყვანეს, რათა მოსამზადებელ ჯგუფში ჩამებარებინა. უკვე დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტი. კონსერვატორიაში მისაღებ გამოცდებზე ,,ჩემი ვარსკვლავი" ვიმღერე, რომელსაც თავის დროზე ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა. იმდენად მოეწონა რექტორს, რომ წამოდგა და მომილოცა. ერთადერთს, მოსამზადებელ კურსზე ჩარიცხულებიდან, მე დამინიშნეს სტიპენდია. იმ პერიოდში დღისით უნივერსიტეტში ვმუშაობდი ლაბორანტად, საღამოს კი კონსერვატორიაში დავდიოდი სამეცადინოდ. თუმცა, სახმო სიმების პრობლემამ იჩინა თავი და მივანებე პროფესიულ ვოკალს თავი. საბოლოოდ დავრჩი ჩემს სპეციალობაში, გავიარე ყველა საფეხური ლაბორანტიდან პროფესორობამდე. ამ წლებში იმდენი სტუდენტი მყავდა, რომ ლამის ნახევარი საქართველო მიცნობს. მოვამზადე 12 ასპირანტი. ყველამ წარმატებით დაიცვა დისერტაცია. 12 მონოგრაფიის, 100-მდე სამეცნიერო სტატიისა და რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი ვარ.

— საკმაოდ რთულ პერიოდში მოგიხდათ უნივერსიტეტიდან წასვლა და გორში საქმიანობის დაწყება, სადაც ჯერ ინსტიტუტის რექტორი იყავით, შემდეგ უკვე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა. როგორ გაიხსენებთ იმ წლებს და საიდან დაიწყო ყველაფერი?

— 1989 წელს გამოცხადდა კონკურსი გორში სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე. იმ პერიოდში თბილისის უნივერსიტეტში კათედრის გამგე ვიყავი. ჩვენმა იმჟამინდელმა რექტორმა ნოდარ ამაღლობელმა მთხოვა, გორში წამოვსულიყავი. მომცეს რეკომენდაცია, მივიღე არჩევნებში მონაწილეობა და გავიმარჯვე. მაშინდელი წესების მიხედვით, ნებისმიერი სასწავლებლის რექტორს მოსკოვი ამტკიცებდა, ამიტომ კონკურსში გამარჯვების შემდეგ გამაგზავნეს საკავშირო განათლების სამინისტროში. 30-მდე კაცი ვიყავით სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩასულნი მინისტრთან შესახვედრად. განათლების საკავშირო მინისტრი სტალინისტი აღმოჩნდა და ძალიან დაინტერესდა, რის გაკეთებას ვაპირებდი გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში. მკაცრი კაცი იყო, მაგრამ წარმატებები მისურვა და გულთბილად გამომაცილა. 1989 წლის მაისში მოხდა ეს. შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშალა და კონფლიქტებიც დაიწყო. ძალიან რთული ვითარება იყო გორში. შეიარაღებული ხალხი დადიოდა ქალაქში და გაჭირვებაც დიდი იყო. ინსტიტუტის შენობაში შევიფარე ცხინვალიდან დევნილი ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები და ასე მოვახერხეთ მათი ინსტიტუტის შენარჩუნება. ამასთან, შევინარჩუნეთ გორის ინსტიტუტის მთელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემდეგ კი ჩემი მთავარი მიზნის განხორციელებაც შევძელი: თავიდანვე მინდოდა ინსტიტუტი უნივერსიტეტი გამხდარიყო, ამიტომ დავამატე სპეციალობები... შემდგომ ამისა, იმ პერიოდისათვის გაუქმებული გორის პედაგოგიური ინსტიტუტი აღვადგინეთ, შევაერთეთ ეს ინსტიტუტები და ასე შეიქმნა გორის ეკონომიკურ- ჰუმანიტარული ინსტიტუტი, სადაც მომზადდა სათანადო ბაზა და 1999 წელს ამ ინსტიტუტს უკვე უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა.

15 წელი ვიყავი რექტორი და ძალიან ვამაყობ იმით, რომ დღეს გორის უნივერსიტეტი ერთ-ერთი დიდი საგანმანათლებლო კერაა არა მარტო გორში, არამედ მთელ საქართველოში. სტუდენტი ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის 1999 წელს ღირსების ორდენით პირადად პრეზიდენტმა დამაჯილდოვა. რექტორობის შემდეგ კიდევ 10 წელი ვიყავი გორში და ლექციებს ვკითხულობდი. ბოლო წლებში კვლავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დავუბრუნდი, სადაც ამჟამად სამაგისტრო ნაშრომების შესრულებას ვხელმძღვანელობ. 88 წლის ვარ და ძალიან ბევრ ცვლილებას მოვესწარი, მაგრამ უფალს მადლობას ვეუბნები, რომ ისევ მომყვება ძალა და გონება.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

საბავშვო უნივერსიტეტი

სახალისო ქიმია

„ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები მუდმივად სარგებლობენ ისეთი საგნებითა და ნივთიერებებით, რომლებიც ქიმიური გარდაქმნების შედეგად არის მიღებული. უფრო მეტიც, ადამიანებს ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ყოფაცხოვრებაში თვითონაც ახორციელებენ ქიმიურ რეაქციებს. საითაც უნდა გაიხედოთ, დაინახავთ საგნებსა და ნაკეთობებს, რომლებიც დამზადებულია ქიმიურ ქარხნებში და ფაბრიკებში მიღებული ნივთიერებებისგან. გარდა ამისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისდაუნებურად, ადამიანი ატარებს ქიმიურ რეაქციას. მაგალითად: საპნით ხელის დაბანა, ცხელ ჩაიში ლიმონის ჩაგდება და სხვა. ცხოვრებაში განხორციელებული ამგვარი ქიმიური პროცესების ახსნა სპეციალისტების საქმეა. ქიმია ბუნებათმცოდნეობის მნიშვნელოვანი ნაწილია“, — ასე აუხსნა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიის გამგემ ელზა მარქარაშვილმა „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ მოსწავლეებს ქიმიის მნიშვნელობა.

შურთხია ბეროშვილი

სამი სალექციო კურსის წაკითხვის და პრაქტიკული მეცადინეობების შემდეგ მოსწავლეების უმეტესობამ „აღიარა“, რომ ქიმია „მაგარი“ საგანია, ზოგიერთმა კი გადაწყვეტილებაც კი მიიღო, რომ მომავალში უკეთ შეესწავლა ეს მეცნიერება. მოსწავლეები და სკოლის პედაგოგები ერთმანეთს სიამოვნებით უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს: „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ მიერ განხორციელებული ეს პროექტი ჩვენი მოსწავლეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით შეძლეს გაეცნობიერებინათ — რამდენად საინტერესო საგანია ქიმია და როგორ შეიძლება გამოიყენონ იგი მომავალში. დღეს საჯარო სკოლებში, სამწუხაროდ, ასეთი ცდების ჩატარება შეუძლებელია, ისინი მოკლებულნი არიან პრაქტიკულ სამუშაოებს, რის გარეშეც არასათანადო ცოდნას იღებენ. გარდა ამისა, ამ ლექციების საშუალებით სულ სხვა აკადემიურ სივრცეში ხვდებიან და ესეც ძალზე მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა კერძო სკოლა „პოლიგლოტის“ პედაგოგმა მაია აფხაზავამ.

სკოლის მოსწავლეებს განსაკუთრებით მოეწონათ პრაქტიკული მეცადინეობები ქიმიაში, რომელიც მათ ელზა მარქარაშვილმა ჩაუტარა. „ქიმია აქამდეც ძალიან მიყვარდა, მაგრამ ამ ლექციების შემდეგ უფრო მეტად შემიყვარდა. სამედიცინო ინსტიტუტში ვგეგმავ ჩაბარებას და ამ საგნის შესწავლას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მადლობა მინდა გადავუხადო საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ჩემს პედაგოგს, რომ საშუალება მომცა — უფრო კარგად გამეგო, თუ რას ნიშნავს ქიმიის შესწავლა. ჩვენთვის საინტერესო და, ამასთან, სახალისოც იყო, რაც პრაქტიკულ მეცადინეობებზე ვნახეთ“, — გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილება სკოლა „პოლიგლოტის“ X კლასის მოსწავლემ ნუცა ქაჩლიშვილმა.

„სამწუხარო რეალობაა, რომ სკოლებში დღეს ექსპერიმენტების ჩატარებას ნაკლები ყურადღება ეთმობა, რაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით არის განპირობებული. ჩვენს სფეროში მოსწავლის დაინტერესება სწორედ ასეთი ცდების დროს არის შესაძლებელი, რადგან ამ დროს საგნის შესახებ მათ უფრო ნათელი წარმოდგენა ექმნებათ და სწავლების პროცესიც უფრო საინტერესოა. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ბოლო დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ხელშეწყობა აქვს ამ დარგს, ჩვენს მიმართულებაზე უკვე 100 ადგილია გამოყოფილი. დღევანდელი ცხოვრება ხომ ქიმიის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ საჭიროა, ყველას ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა ქიმიაზე. სწორედ ამ მიზნით დავწერე წიგნი: „სახალისო ქიმია“, რომლის გამოცემასაც უახლოეს მომავალში ვგეგმავ“, — განაცხადა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიის გამგემ, ქიმიის დოქტორმა, „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ქიმიის კოორდინატორმა ელზა მარქარაშვილმა.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელის მარინა ლომოურის ინფორმაციით, სკოლის მოსწავლეებისთვის სამლექციანი თემატური ციკლი ყველა საგანში ჩატარდება. ამ კუთხით მუშაობა კვლავაც მიმდინარეობს.

№18/01-01 **17.02.2016**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილებით (დამტკიცებული თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №10 29.12.2014წ.) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-2 მუხლის მეორე პუნქტის, ამავე წესის მე-3 მუხლის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 31 დეკემბრის №40/04 ერთობლივი ბრძანების და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ გაგოშიძის 2016 წლის 8 თებერვლის №3472/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად;

უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 17 თებერვალს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 18 მარტიდან 2016 წლის 29 მარტის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2016 წლის 25 აპრილისა;

კონკურსი გამოცხადდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2016 წლის 18 მარტიდან 2016 წლის 29 მარტის ჩათვლით 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი უნივერსიტეტის ქ. №2, თსუ მე-10 კორპუსი, ოთახი 106;

ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა**

აქციები, მოთხოვნები, პოზიციები

ლადო პაპავა, თსუ-ის რექტორი:

„პირადად მე გადადგომის საკითხს გამოვრიცხავ. აკადემიურ საბჭოზე იყო მსჯელობა, რომ აკადემიური საბჭო არ აპირებს რექტორის იმპიჩმენტის საკითხის განხილვას. ჩემი გადადგომის საკითხი გამორიცხულია, რათა უნივერსიტეტი არ შევიდეს უფრო დიდ ჩიხში. ამჟამად მიმდინარეობს კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის საკითხზე მსჯელობა“.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, ირაკლი იმედაძე, ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 59 44